ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№ 83 (11 232)

20 – 22 ოქტომბერი, 1998 წ. ფასი 30 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ჟორდანიას მხარდასაჭერად ყიფიანი ჩამოდის

როცა გასული საფეხბურთო სეზონის მიწურულს დავით ყიფიანმა მოულოდნელად დატოვა თბილისის „დინამო“ და რუსეთს გაემგზავრა, ჭორები გავრცელდა — კლუბის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასთან მოუვიდა კონფლიქტი და იმიტომ წავიდაო. არადა, ორივემ, ჟორდანიამაც, ყიფიანმაც ჩვენთან საუბარში არაერთხელ გადაჭრით უარყვეს ეს ხმები: ჩვენ ერთი გუნდი ვართ, ერთნაირი შეხედულება გვაქვს ქართული ფეხბურთის დღევანდელ მდგომარეობაზე და არაფერი გვაქვს გასაყოფიო. ეს რომ ნამდვილად ასეა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როცა შევიტყვეთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის IV ყრილობის წინა დღეს — 22 ოქტომბერს თბილისში ყიფიანი ჩამოდის. ჩანაფიქრი ერთი აქვს — მხარი დაუჭიროს ჟორდანიას სფფ-ს პრეზიდენტის არჩევნებში. ამ მიზნით, იაროსლავლის „შინიკის“ მთავარ მწვრთნელს განზრახული ჰქონია სიტყვითაც გამოვიდეს ყრილობაზე.

სხვათა შორის, ამ დღეებში მერაბ ჟორდანიამ მკვეთრად გააქტიურა თავისი წინასაარჩევნო კამპანია: იგი შეხვდა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრებს, ვეტერან ფეხბურთელებს, ბავშვთა საფეხბურთო კლუბების მწვრთნელებს...

## ჩვენი ბედოვლათობით სხვას ჯიბეს ვუსქელებთ

### ხომ ხედავთ, უეფა დაუნდობელია!

ამ დღეებში შედგა უეფას სადისციპლინო კომიტეტის სხდომა, რომელზეც იმსჯელეს ევრო—2000-ის და ევროტურნირებში სხვადასხვა გუნდებისა და ცალკეული ფეხბურთელების უწესო საქციელზე. როგორც ყოველთვის, სასჯელი არც ქართველებს აგვცდა. ჯერ ნაკრებით დავიწყოთ. 5 სექტემბერს ალბანელებთან მატჩში ჯგუფური შეხლა-შემოხლის გამო, ჩვენი ეროვნული გუნდი 7 ათასი შვეიცარიული ფრანკით დაჯარიმდა. გარდა ამისა, გახსოვთ, ალბათ, მაშინ ერთ-ერთმა თავშეუკავებელმა მაყურებელმა მინდორზე კოკა-კოლას პლასტმასის ცარიელი ბოთლიც ისროლა. უეფასაც მეტი რა უნდოდა, ამ ქმედებით მან საკუთარი ხაზინა კიდევ 5 ათასი ფრანკით შეავსო. სასჯელს არც თბილისის დინამოელი ივანე მახარაძე გადაურჩა — გასვლით შეხვედრაში „ტილბურგთან“ გაძევებისათვის ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია უბოძეს. ასე რომ, საქართველოს კლუბების ყველა მესვეურმა დაიმახსოვრეთ, დარჩება მახარაძე „დინამოში“ თუ სხვა გუნდში გადავა, ევროტურნირში 2 (ორი) თამაში უნდა გამოტოვოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სოლოღაშვილის გამო ბათუმის „დინამოს“ ბედს გაიზიარებს.

## ორი განსხვავებული ტაიმი

არსენალი (თბილისი) — გურია (ლანჩხუთი) 5-1

სტუმრები არმიელებს მხოლოდ პირველ ტაიმში გაუძალიანდნენ და დროის ამ მონაკვეთში თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მართალია, ჯერ თბილისელმა ხოსროშვილმა გახსნა ანგარიში, მაგრამ „გურია“ დროზე მოეგო გონს და ძლიერი კონტრთამაში შესთავაზა მეტოქეს. ამან შედეგი გამოიღო — დავით მახარაძემ საპასუხო გოლი გაიტანა. მერე კი ლამის დაწინაურდა: ისევ მახარაძე უტევდა მასპინძელთა კარს, „მეორე სართულზე“ ბრძოლისას მას უხეშად ეთამაშა მეკარე აბაშიძე, მაგრამ მსაჯმა სოსო კახიანმა წესის დარღვევა არ დააფიქსირა.

მეორე ტაიმი განსხვავებული სცენარით წარიმართა. უკეთესი ფიზიკური მომზადების წყალობით „არსენალმა“ შეძლო მოეპოვებინა საგრძნობი სათამაშო უპირატესობა, რაც გოლებში გამოიხატა — ტარიელაშვილმა, გველესიანმა და ორჯერ ზირაქიშვილმა ოთხჯერ აიღეს სტუმართა კარი.

საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

I ჯგუფი X ტური

# იყო, არ იყო... ამასობაში გვერდითი მსაჯი გაილახა

## რუსიშვილი ვერც მეათე ეროვნულს გადაურჩა

### მერანი-91 — ვიტ-ჯორჯია 0-0

*მერანი:* ლომაია, ივანიშვილი, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, დანელია, გეწაძე (ჯიშკარიანი, 75), ქორიძე, ბაჯელიძე, კვეტენაძე, ხუციშვილი, მესხი.

*ვიტ-ჯორჯია:* ჭურაძე, მენთეშაშვილი (კვიციანი, 90), ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, დვალიშვილი, კაპანაძე (დოლიძე, 80), ზვ. გვაზავა, მაისურაძე, ნოზაძე, მაზიაშვილი, გრ. გვაზავა (ა. ბოკერია, 82).

*გააფრთხილეს:* კაპანაძე, ზვ. გვაზავა, ჭანკოტაძე, ჭურაძე, მესხი.

*გააძევეს:* დვალიშვილი.

*მსაჯი:* პაატა დოგრაშვილი (ქუთაისი).

„კოკა-კოლას“ სარეკლამო დაფებით გალამაზებულ „სინათლეზე“ კიდევ ერთხელ გალახეს მსაჯი, უფრო სწორედ გვერდითი მსაჯი. მაგრამ ამჯერად, მერანელებს ამაში ბრალი არ მიუძღვით, ქულების დაკლების კანდიდატები მათი სტუმრები გახდნენ.

მატჩის დამთავრებას 2-3 წუთი აკლდა, როცა ივანიშვილმა მარჯვენა ფლანგიდან კუთხური ჩააწოდა. საჰაერო ბრძოლისას „ვიტ-ჯორჯიას“ საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, ბურთი ჭურაძის კარის სიახლოვეს მყოფ რამდენიმე მერანელთა შორის აღმოჩნდა და ერთ-ერთმა მათგანმა (ისეთი სუმბური იყო, რომ არჩათვლილი გოლის ავტორიც ვერ გავარკვიეთ) ის სტუმართა კარში გაგზავნა. გვერდითმა მსაჯმა რუსიშვილმა ალამი ასწია (ბოლომდე არა), მერე დასწია. მთავარ მსაჯს კი გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდა, თავის თავზე ვერ აიღო გოლის ჩათვლა-არჩათვლა. ამასობაში „ვიტ-ჯორჯიას“ ფეხბურთელები რუსიშვილს მისცვივდნენ, ჯერ ცოცხალ-მკვდარი უხსენეს, მერე არც პანღური და მუჯლუგუნი დაკლეს. ერთ-ერთმა მათგანმა ონავარ ბიჭუნასავით ყურის აწევითაც იყარა ჯავრი გვერდით მსაჯზე.

ლაინსმენმა ამდენს ვეღარ გაუძლო და გაზონზე ოთხით აღმოჩნდა. ამან ეტყობა სტუმართა ფეხბურთელებს გული აუჩუყათ და მათი „იერიშიც“ ჩაცხრა. გვერდით მსაჯს მოსულიერების შემდეგ პაატა დოგრაშვილი გამოელაპარაკა – მერანელთა გოლი არ ჩათვალა და თამაშგარე დააფიქსირა. ამან უკვე მერანელები გაახელა, მაგრამ ისინი რუსიშვილზე მხოლოდ სიტყვიერი „იერიშით“ დაკმაყოფილდნენ. დოგრაშვილმა თავის ასისტენტის გალახვისათვის ჭურაძეს ყვითელი, დვალიშვილს კი წითელი ბარათი აუფრიალა.

თვით თამაშზე მოკლედ მოგახსენებთ. პირველ ტაიმში საინტერესო არაფერი მომხდარა. მეორეში „მერანი“ გამოცოცხლდა. ქორიძეს და ხუციშვილს ჭურაძემ არ დაანება გოლის გატანა, ლომაიამ კი გრ. გვაზავას. 70-ე წუთზე მასპინძლებს დაწინაურების საკეთესო შანსი მიეცათ, მაგრამ ბაჯელიძის წაქცევისთვის დანიშნული 11-მეტრიანი ქორიძემ ვერ გამოიყენა – ჭურაძემ თავის კარის მარჯვენა დაბალი კუთხიდან გამოაძრო ბურთი.

...სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტს კი საქმე მართლაც რომ მიეცა.

რაც შეეხება ნაცემ გვერდით მსაჯს, ეს ის ნუგზარ რუსიშვილი გახლავთ, რომელიც წინა ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩშიც დაზარალდა („მალაროელი“ – დინამო (თბ.), გაცილებით მსუბუქად, ოღონდ თვით დავით ყიფიანის იდაყვისგან.

დათო თავართქილაძე




## მატჩები და შედეგები

*დილა (გორი) – ტორპედო (ქუთ.) 3-0*
*თსუ – კოლხეთი-1913 (ფოთი) 2-4*
*სამგურალი (წყალტუბო) – ლოკომოტივი (თბილისი) 1-2*
*გორდა (რუსთ.) – დინამო (ბთ.) 0-0*
*სიონი (ბოლნ.) – ოდიში (ზუგდ.) 1-0*
*დინამო (თბ.) – იბერია (სამტრ.) 7-2*
*მერანი-91 (თბ.) – ვიტ-ჯორჯ. (თბ.) 0-0*
*არსენალი (თბ.) – გურია (ლანჩხ.) 5-1*

## სატურნირო მდგომარეობა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | (-) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ.) | 8 | 7 | 1 | 0 | 35-7 | 22 | (-2) |
| ტორპედო (ქუთ.) | 9 | 6 | 2 | 1 | 23-10 | 20 | (-7) |
| დილა (გორი) | 10 | 6 | 2 | 2 | 14-7 | 20 | (-10) |
| ლოკომოტ. (თბ.) | 10 | 5 | 5 | 0 | 15-5 | 20 | (-10) |
| კოლხ.-1913 (ფთ.) | 9 | 5 | 2 | 2 | 20-11 | 17 | (-10) |
| იბერია (სამტრ.) | 10 | 5 | 0 | 5 | 22-25 | 15 | (-15) |
| დინამო (ბთ.) | 10 | 3 | 5 | 2 | 17-10 | 14 | (-16) |
| ოდიში (ზუგდ.) | 9 | 4 | 0 | 5 | 6-12 | 12 | (-15) |
| არსენალი (თბ.) | 10 | 3 | 3 | 4 | 11-17 | 12 | (-18) |
| ვიტ-ჯორჯია(თბ.) | 10 | 3 | 2 | 5 | 10-11 | 11 | (-19) |
| მერანი-91 (თბ.) | 10 | 2 | 5 | 3 | 7-11 | 11 | (-19) |
| უნივერსიტ. (თბ.) | 10 | 2 | 2 | 6 | 10-16 | 8 | (-22) |
| სიონი (ბოლნ.) | 10 | 2 | 2 | 6 | 11-24 | 8 | (-22) |
| გორდა (რუსთ.) | 10 | 1 | 5 | 3 | 5-6 | 8 | (-22) |
| სამგურ.(წყალტ.) | 10 | 2 | 1 | 7 | 8-23 | 7 | (-23) |
| გურია (ლანჩხ.) | 10 | 2 | 1 | 7 | 9-28 | 7 | (-23) |

კალათბურთი ● ქალთა ეროვნული ჩემპიონატი

## იწყება თსუ-ს ხანა?

*ყველა მიეჩვიეთ, რომ ქალთა კალათბურთში უპირობო ლიდერი გვყავს – ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი. მეშვიდე ეროვნულ ჩემპიონატში ტრადიცია დაირღვა: პირველად უძლიერესის ტიტულს სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი დაეუფლა. ფინალურ ორთაბრძოლაში ამ კოლექტივმა უცვლელ ჩემპიონს სძლია ანგარიშით 82:79. ბრინჯაოს მედლებს დაეპატრონნენ „მართვე-I“-ის კალათბურთელები. რიგით მე-8 ჩემპიონატს ქალთა გუნდები გაისად თებერვალში დაიწყებენ.*

## მილოცვა

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს კოლეგას, ცნობილ სპორტულ ჟურნალისტს **გარუნ აკოფოვს.**

## პრემიის მინიჭება

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ ***გარუნ აკოფოვს*** ნ. გუგუშვილის სახელობის პრემია მიანიჭა.



კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

ვერის ბაღში გაიმართა IV ტურის მატჩები:

სდასუ — აზოტი 78.86,
კოლხა — თსუ 64:97,
სტუ — მაკაბი 94:79,
ვითა — დინამო 88:80.

შემდეგი ტურის მატჩები გაიმართება 22-23 ოქტომბერს. ერთმანეთს ხვდებიან: შევარდენი — სტუ, თსუ — ვითა, დინამო — აზოტი, მაკაბი — კოლხა.

რეპლიკა

# გასროლა ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში

არც კი ვიცით რა ვუწოდოთ ამ გასროლას. არადა, იმ ორჯერ გასროლის ხმამ გონზე მოიყვანა კალათბურთელებიც და მაყურებლებიც, ყველა შეცბა, შეეშინდათ კიდეც, ერთთავად უამრავი მზერა მიაწყდა იმ ტრიბუნას, საიდანაც ასე მოულოდნელი ბათქი გაისმა. რა მოხდა? მოხდა ის, რომ ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის კიდევ ერთ მატჩში ვერ მოთოკეს ნერვები მოთამაშეებმა, ისევ აბუჩად აიგდეს მაყურებელიც და ჩემპიონატიც, ისევ ურცხვად გამოვლინდა ზღვარგადასული თავხედობა.

– მიმდინარეობდა „აზოტისა“ და სდასუ-ს მატჩის მეორე ნახევარი. სტუდენტებმა ის-ის იყო ანგარიშში სხვაობა შეამცირეს და თითქოს რუსთაველებს შეხვედრის იოლად მოგების თავდაჯერება გაუქარწყლეს, რომ ერთმანეთში წაცინკლავდნენ ბერუაშვილი („აზოტი“) და ორჯონიკიძე (სდასუ), მერე კი მეტოქეებმა კოლექტიურად დასცხეს ერთმანეთს, პირდაპირ მოედანზე გააჩაღეს მუშტი-კრივი. ჩხუბმა ლამის კულმინაციას მიაღწია, რომ სწორედ ამ დროს, რომელიღაც მაყურებელმა დარბაზში ორჯერ დააჭექა (როგორც ირწმუნებიან, უტყვიებო ვაზნებით). საბედნიეროდ, ჩხუბი ჩაცხრა, თუმცა, მატჩი დიდხანს შეწყდა და მერე მეტოქეებმა ისე მეგობრულად და ტკბილად განაგრძეს თამაში, ვითომც, საერთოდ, არაფერი მომხდარა, თითქოს დიდი ხნის მონატრებული მეგობრები შეხვდნენ ერთმანეთს.

მაგრამ ეს ხომ ფარსი იყო, ფარსი მოსალოდნელი სასჯელისა და რისხვის შესამსუბუქებლად.

გასროლამ კალათბურთის სასახლეში, იქნებ ფედერაციის ხელმძღვანელობაც გამოაფხიზლოს.

მიმომხილველი

## ქუთაათურთა სპორტული მატიანე

რუბრიკას უძღვება ზურაბ ჯაჯახაძე

# კალათბურთი ქუთაისში

მესამე წერილი



*ქუთაისელი კალათბურთელები თბილისის დინამოს შემადგენლობაში. მარცხნიდან: ოთარ ქორქია, ჯუმბერ ნიჟარაძე, ალეკო მესხი, სულიკო თორთლაძე, შოთა ქორქაშვილი*

1944 წელს ჩატარებულ საკავშირო ჩემპიონატს თბილისმა უმასპინძლა. 16 გუნდი დაიყო ოთხ ქვეჯგუფად. ქვეჯგუფებში გამარჯვებულმა კვარტეტმა საპრიზო ადგილები გაითამაშა. რიონისპირა ქალაქის წარმომადგენლებმა თბილისელ არმიელებთან ერთად კარგად აიღეს სტარტი. ქუთაისელებმა პირველ მატჩში ანგარიშით 52:22 დაამარცხეს სვერდლოვსკის „ტრაქტორი“, ხოლო მეორე შეხვედრაში სძლიეს მოსკოვის „სპარტაკს“ 32:29. ამ მატჩთან დაკავშირებით გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „მეორე ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია ქუთაისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ შეხვედრამ. საქართველოს ჩემპიონმა ამ დღეს გვიჩვენა თამაშის მაღალი კლასი და ფიზიკური გამძლეობა. თავიდანვე მოპოვებული უპირატესობა ქუთაისელებმა ბოლომდე შეინარჩუნეს და მოიპოვეს დამსახურებული გამარჯვება“.

ქვეჯგუფის უკანასკნელ მატჩში ქუთაისელებმა ანგარიშით 51:22 სძლიეს კიეველ არმიელებს და გათამაშების შემდგომ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვეს. დასკვნით შეხვედრებში ქუთაისელები დამარცხდნენ თბილისელ არმიელებთან — 27:34, მოსკოვის დინამოელებთან — 27:29, ხოლო მოსკოვის ლოკომოტივთან ფრედ 35:35 ითამაშეს. ბუნებრივია, მოპოვებული მეოთხე ადგილი ყოფილი საბჭოთა კავშირის უძლიერეს გუნდებთან ჭიდილში საპატიო იყო.

1945 წლის აპრილის შუა რიცხვებში ქ. კაუნასში ჩატარდა ჩვენი ქვეყნის რვა ქალაქის ტრადიციული

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 80,82

იხ. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საჭადრაკო ქობულეთმა ახლა „მართვეებს“ უმასპინძლა

*თუმცა, მონაწილეთა შორის ვერ ვიხილეთ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის და კიდევ 39 ქალაქის და რაიონის წარმომადგენლები...*


არჩილ მჟავანაძე


თინათინ არველაძე


ბესიკ კაკალაძე


ქრისტინა მჟავია


გიორგი შურღულაია

ქობულეთის საჭადრაკო ცხოვრებამ თითქმის მთელი წელი გასტანა – ფესტივალს ფესტივალი ენაცვლებოდა, პირველობას – პირველობა, ტურნირს – ტურნირი. ბოლო აკორდი სპორტსაზოგადოება „მართვეს“ 1998 წლის ღია პირადი პირველობა იყო, რომელშიაც ქვეყნის 9 ქალაქისა და რაიონის 105 რჩეული მოჭადრაკე გოგო-ბიჭები მონაწილეობდნენ. პირველობა ჩაატარეს განათლების სამინისტრომ, ამავე სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალურმა სასპორტო სკოლამ, ნანა იოსელიანისა და ზურაბ აზმაიფარაშვილის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა ქობულეთის საჭადრაკო სკოლამ. ეს ასპარეზობა ამავე დროს, მოზარდ მოჭადრაკეთა მსოფლიო და ევროპის პირველობების (ასაკის მიხედვით) შესარჩევი ტურნირიც იყო.


მიხეილ ქანთარია


სადომე მელია


ლევან კილასონია

### გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს

***10 წ. ჭაბუკები:*** 1. არჩილ მჟავანაძე – 8 ქ, 2. ბესიკ კაკალაძე (ორივე – ქობულეთი) – 7,5, 3. უჩა დუაძე (ბათუმი) – 6,5. ***გოგონები:*** 1. თინათინ არველაძე (სამტრედია) – 8, 2. ქრისტინე მჟავია (ლანჩხუთი) – 8. უკეთესი კოეფიციენტით პირველობა არველაძეს მიეკუთვნა. 3. თინათინ ბერიძე (ბათუმი) – 6.
***12 წ. ჭაბუკები:*** 1. ბესიკ კაკალაძე – 6,5, 2. არჩილ მჟავანაძე – 6, 3. გაიოზ ნიგალაძე (ბათუმი) – 5,5. ამდენივე ქულა მოაგროვა გიორგი გამზარდიამ (ფოთი). მაგრამ უკეთესი კოეფიციენტით საპრიზო ადგილი ნიგალაძეს ხვდა. გოგონები: 1. ქრისტინე მჟავია – 6. 2. ნინო კალანდაძე (ორივე – ლანჩხუთი) – 5,5, 3. თეონა სიჭინავა (ფოთი) – 5,5. მეორე ადგილი კალანდაძეს ხვდა უკეთესი კოეფიციენტით.
***14 წ. ჭაბუკები:*** 1. მიხეილ ქანთარია (ბათუმი) – 7, 2. გიორგი შურღულაია (სენაკი) – 6,5, 3. გიორგი ქაჩლიშვილი (გურჯაანი) – 6. ***გოგონები:*** 1. სალომე მელია – 6,5, 2. ნინო ბატიაშვილი – 5,5, 3. ნათია ვაჩეიშვილი. (სამივე – ბათუმი) – 5.
***16 წ. ჭაბუკები:*** 1 – 2 გიორგი შურღულაია და ლევან კილასონია (ორივე – სენაკი) 6,5 – 6,5 (თანაბარი კოეფიციენტით), 3. თორნიკე ხვედელიძე (ოზურგეთი) – 5,5. ***გოგონები:*** 1. სალომე მელია – 4,5, 2. სოფიკო დიოლიძე (ლანჩხუთი) – 3, 3. მარინე აღლემაშვილი (ახალციხე) – 2,5 (14 და 16-წლიანმა ჭაბუკებმა და გოგონებმა ერთიან ტურნირში ითამაშეს. ამ ასაკში მონაწილეთა სიმცირის გამო ჩემპიონი არ გამოვლენილა.

გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ, სპეციალური პრიზები გადაეცათ მონაწილეებსაც. ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩატარებაში დიდია საქართველოს განათლების სამინისტროს (სამმართველოს უფროსი დ. ბერძენიშვილი), აჭარის განათლების მინისტრის ნ. გუნავას, ქობულეთის გამგებლის ტ. ხალვაშის დამსახურება. კარგად გაართვეს თავი მოვალეობას საქართველოს განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა ს. მეგრელიშვილმა, 90-ე პროფსასწავლებლის დირექტორმა დ. მჭედლიშვილმა, მსაჯთა კოლეგიამ – ა. მჟავანაძემ, ბ. მჟავანაძემ, მ. ზამბახიძემ და გ. ერქომაიშვილმა. აღსანიშნავია, რომ ორგანიზატორებმა შეჯიბრებაზე მიიწვიეს 58 ქალაქისა და რაიონის გუნდი და მათი აბსოლუტური უმრავლესობა ქობულეთს ვერ ეწვია. მათ შორის, სამწუხაროდ, არიან თბილისის, ქუთაისის და რუსთავის წარმომადგენლებიც კი. თუმცა, ასპარეზობის დღეებში ქობულეთში სასმელი წყალი დაბინძურდა, შეჯიბრების ყველა მონაწილე, მწვრთნელი და მშობელი შინ უვნებელი დაბრუნდა.

**ამირან ბერძენიშვილი**



# არჩილ ელერდაშვილის მემორიალი

**ჭაღარა კაცი, იუმორით აღსავსე, უაღრესად კეთილი – ასე იცნობდნენ არჩილ ელერდაშვილს სპორტულ სამყაროში. თავის ძმასთან, ივანე ელერდაშვილთან ერთად იყო საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი წყვილთა ასპარეზობაში, შემდეგ საკავშირო კატეგორიის მსაჯი, სპორტის ოსტატი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი. ახლა დინასტიის გამგრძელებლები არიან ამ მემორიალის ინიციატორები, არჩილის შვილები, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის კორტების დირექტორი ნიკო ელერდაშვილი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჩოგბურთში და ეროვნული კატეგორიის მსაჯი გელა ელერდაშვილი.**

აკადემიის კორტებზე ჩატარდა არჩილ ელერდაშვილის მემორიალი ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს უძლიერესი ჩოგბურთელები (ასაკის მიხედვით).

### გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს:

გოგონები: ***1983-84 წ. დაბადებულნი:*** 1. სოფიკო მელიქიშვილი, 2. ქეთევან ხუბულაური, 3. თამთა ქოქაშვილი; ***1985-86 წლებში დაბადებულნი:*** 1. მელიქიშვილი, 2. მარიკა არაქელოვა, 3. თათა ახობაძე (ბათუმი). ***1987-88 წლებში დაბადებულნი:*** 1. თამარ მიქაძე, 2. მარიკა ასლანიშვილი, 3. ანიკო მურღულია; ***1989-90 წლებში დაბადებულნი:*** 1. ანიკო ტატიშვილი, 2. თამთა ჯიქია, 3. ალიონა კალაშნიკოვა (ახობაძის გარდა ყველა – გამარჯვებული და პრიზიორი თბილისელია).

***ჭაბუკები. 1980-82 წლებში დაბადებულნი:*** 1. მიხეილ ჩადუნელი, 2. ანდრო თოლორაია, 3. ნუკრი ცერცვაძე; ***1983-84 წლებში დაბადებულნი:*** 1. ლევან დათაშვილი; 2. ზურაბ ქვანია, 3. კოკა დავლიანიძე; ***1985-86 წლებში დაბადებულნი:*** 1. დათო კვერნაძე, 2. ლევან არველაძე, 3. ომარ მურღულია; ***1987-88 წლებში დაბადებულნი:*** 1. ნოდარ ითონიშვილი, 2. გიორგი ქორქოლიანი, 3. გიორგი ნავროზაშვილი; ***1989-90 წლებში დაბადებულნი:*** 1. ლაზარე კუხალაშვილი, 2. გიორგი ჭანტურია, 3. ნოელი სახვაძე (ყველა გამარჯვებული და პრიზიორი თბილისელია).

გამარჯვებულები და პრიზიორები შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ნიკო ელერდაშვილმა დააჯილდოვა. ბათუმელი თათა ახობაძე დაჯილდოვდა პრიზით – „ნებისყოფისათვის“, ნათია ელიზბარაშვილს კი „მის ტურნირის“ პრიზი გადაეცა.

**ბივი ლუკაშვილი, სპორტის ოსტატი**

# სპორტული სარბიელიდან – პოლიტიკურ სარბიელზე!

ახალშექმნილი პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველო“ მიზნად ისახავს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობით სერიოზული ნაბიჯი გადადგას დიდ პოლიტიკაში. იყო თუ არა ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი? იყო და არც იყო! როცა ქვეყახას ისეთი პოლიტიკური ძალები მართავენ, რომლებსაც იგი დაჩქარებული ალმავლობით მიჰყავს პროგრესისაკენ, სპორტმა, ხელოვნებამ, კულტურამ და მეცნიერებამ ეროვნული გენის წარმოჩენას და ქვეყნის სულიერებას უნდა უწინამძღვროს, მაგრამ თუ ეს ასე არ ხდება, ბოლოს და ბოლოს კონსტიტუციის ნებით, ყველა ადამიანს თუ ადამიანთა გაერთიანებას აქვს უფლება გამოხატოს ქვეყნის მართვაში მონაწილეობის სურვილი. სწორედ ხსენებულმა გარემოებამ და სურვილმა შთააგონა საქართველოს სპორტული სამყაროს შექმნით თავიანთი პოლიტიკური გაერთიანება ანუ, ჩვენს რეალობაში ისედაც არსებული უდიდესი ოჯახისთვის ქვეყნის ბედზე ზრუნვის მისია დაეკისრებინა. ამ მისწრაფებას მხარს უჭერენ აგრეთვე დედასამშობლოს ინტელიგენციის ყველაზე პოპულარული ადამიანები. „თქვენთან

იხ. მე-5 გვ.

# მხოლოდ თბილისში ბათუმში. ქუთაისსა და რუსთავში

## მხატვრული ტანვარჯიში | საქართველოს ჩემპიონატი

დიახ, მხატვრული ტანვარჯიშის გავრცელების არეალი ჩვენს ქვეყანაში დღეს ამ ოთხი ქალაქით შემოიფარგლება. საქართველოს წლევანდელი პირადი ჩემპიონატიც მხოლოდ მათი წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარდა: მოასპარეზენი ორ ჯგუფად დაიყვნენ – უფროსები და უმცროსები. ჩემპიონობა და საპრიზო ადგილები მხოლოდ უფროსებმა გაითამაშეს. მრავალჭიდში ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა რუსთაველმა ინგა თავდიშვილმა (მწვრთნელი ლანა ლონდარიძე), რომელიც ცალკეულ საგნებით ასპარეზობაშიც ოთხივე პირველ ადგილზე გავიდა. მეორე იყო თბილისელი ნინო გედევანიშვილი, რომელსაც ცალკეულ საგნებშიც ოთხივე მეორე ადგილი ხვდა, მრავალჭიდში მესამე ადგილზე გავიდა ბათუმელი ვანდა კერესელიძე. ცალკეულ საგნებით ვარჯიშში კი მესამე ადგილი თბილისელებს დიანა გულედანს და ნანა ვაშაკიძეს ხვდათ. სამწუხაროდ, ამ პროგრამაში კერესელიძემ ტრავმა მიიღო და ბრძოლას გამოეთიშა. უმცროს ასაკში მრავალჭიდში ადგილები ასე განაწილდა: 1. ანა ალექსიშვილი (მწვრთნელი ვიქტორია ვახტანგაძე), 2. ქეთინო ბაკურაძე, 3. ნათია სულაძე (სამივე – თბილისი).

# ოსები საქართველოში

**საქართველოში ეროვნულ უმცირესობებთან ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებაში სპორტის დამსახურება ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინოა. ამ ურთიერთობამ ათწლეულები გამოიარა უხინჯოდ. თითქმის სპორტის ყველა სახეობაში იყვნენ რჩეულთა შორის რჩეულნი, რომლებიც ქართველ სპორტსმენებთან ერთად თავდადებით იცავდნენ საქართველოს სახელს სხვადასხვა რანგის სპორტულ ასპარეზობაში. ცხადია, მათ შორის იყვნენ ოსებიც, რომელთა მიმართ სიყვარულსა და ღრმა პატივისცემას მუდამ გამოხატავდა ქართველი ერი. 90-იანი წლების დასაწყისში კი გარეშე ძალებიდან ინსპირირებულმა შუღლიანება – წაქეზებამ ორივე ხალხს მოუტანა უდიდესი ტკივილი და მწუხარება. ახლა მდგომარეობა თანდათან სწორდება.**

**ქვემოთ გთავაზობთ წერილს, რომელიც ადასტურებს, რომ ინსპირატორები ყველა ხელსაყრელ მომენტს იყენებდნენ ოსებისა და ქართველების დასაპირისპირებლად.**

**წერილი დაწერილია 80 წლის წინათ, 1918 წელს და გამოაქვეყნა იგი გაზეთმა „ჩვენი ქვეყანა“. წერილის ავტორია ცნობილი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი ია ეკალაძე (იაკობ ცინცაძე, 1872-1933) ნახეთ როგორ ობიექტურად, ოსი ხალხისადმი უდიდესი პატივისცემითაა იგი დაწერილი. იბეჭდება მცირეოდენი, შემოკლებით.**

მე თვითონ დედით ნაოსარი გახლავართ, დავიბადე და გავიზარდე ოსეთში, კარგად ვიცი ოსური ენა და მათი ხალხური თქმულებანი. ვიცი ოსური წერა-კითხვაც და, როცა ამ რამდენიმე ხნის წინათ თბილისში ოსის ინტელიგენციამ გამოსცა ოსურ ენაზე გაზეთი „ნევეგცარდ“-ი, დიდი დახმარებაც გავუწიე შეძლებისდაგვარად.

მიყვარს კიდეც ოსები, ცოცხალი, მკვირცხლი, ნიჭიერი ხალხია, მაგრამ, როგორც ყველა ერშია, სამწუხაროდ, საქართველოს ოსები გზიდან გადაავდო მათი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა.

მე ვამბობ საქართველოს ოსებიმეთქი იმიტომ, რომ არის მხოლოდ ერთი ოსეთი: პირიქითა ოსეთი. თავისი საკუთარი მიწა-წყლით, პირაქეთი ოსები კი ჩამოხიზნულნი არიან საქართველოს მიწა-წყალზე; პირიქით ოსეთს სრული უფლება აქვს ეძიოს თავისი ტერიტორიული სახელმწიფოებრიობა, მაგრამ, როცა საქართველოს მიწა-წყალზე ქართველი ხალხის წინააღმდეგ ამხედრებს ჩვენში სამადლოდ ჩამოხიზნულ ოსებს მათი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, ეს კი არამცთუ უმადურობაა, დიდი უსამართლობაც არის. ეს უსამართლობა დაიწყო ამ ოცი-ოცდაათი წლის წინათ, ინიციატორებად შეიქმნენ ჯერ რუსის მოხელეები, ცნობილი ვოსტორგოვის მეთაურობით, და ოსის ის ნასწავლი ახალგაზრდობა, რომელიც გამოიზარდა რუსის სკოლებში, როგორც რუსების სტიპენდიანტები. ვოსტორგოვმა და ამ ახალგაზრდებმა მოზხამეს საქართველოს ოსების მასა და ეს შხამი არ გადაერეცხებათ გულიდან იქამდე, ვიდრე თავისუფალი საქართველო არ ალაგმავს ხალხის მტრებს და არ დაანახვებს საქართველოს ოსებს მათ შეცდომას.

ჯერ სად იყო რევოლუცია, როდესაც საქართველოს ოსების ინტელიგენციამ მთელი გეგმა შეადგინა რუსეთის პოლიტიკითა და ასი წლის მონობით დაბეჩავებული ქართველი ხალხის დაჩაგვრა-დაპყრობისა ლიახვის ხეობაზე; მიბრძანდით თუნდ ცხინვალში, თვალი შეავლეთ იმ რკალს, რომელიც შეიქმნა ოსების მოსახლეობით. დაუკვირდით მარტო ცხინვალსა და დგრისში ახლად, ჩემს დროში ჩამოსახლებულ ოს ვაჭართა მოსახლეობა-მოქმედებას, ამ ხეობიდან გამოსულ ამავე ვაჭარ „ბურჟუების“ შვილების, მოზარდი თაობის, სტუდენტ-მოსწავლეთა წრეებს, მათ კავშირებს, მათ განზრახვებს და თქვენ დამეთანხმებით, რომ არც ეს ვაიბატონები დაიხევენ უკან, თუკი ცოტა რამეს მაინც ჩამოჰგლეჯენ ყველასაგან დაბრიყვებულ საქართველოს. თუკი შეძლება მიეცემათ ხელი მოითბონ საქართველოს უბედურებაზე.

ან კი რომელი ერი, რომელი ნაციაა ჩვენში ისეთი, რომ საქართველოსთვის თავში ხელი არ წამოეკრას?

სომხეთი, წალკის ბერძნები და ამ ბოლო დროს რუსის სოციალისტებიც კი მზად არიან დამარხონ საქართველოს თავისუფლება. მზად არიან დაგმონ ღმერთიც, სამართალიც, სტუმართმოყვარეობაც, თვით უმაღლესი პრინციპებიც, ოღონდ კი საქართველო არ აღსდგეს მკვდრეთით!...

ასეთ მათ განზრახვას ხელს უწყობს „ინტერნაციონალური“ ქადაგებაც ჩვენში. ის ინტერნაციონალურობა, რომელმაც ისე დაგვაბრმავა და დაგვაყრუა ჩვენ, ქართველები, რომ მტერსა და მოყვარეს ველარა ვცნობთ. სხვები კი სარგებლობენ ასეთი ჩვენი გატაცებით და თავის საქმეს აკეთებენ...

თავის საქმეს აკეთებდნენ და აკეთებენ საქართველოს ოსებიც!

ღმერთმა ხომ იცის, ჩვენ არც ერთი ერისათვის არაფერი ცუდი არა გვსურს. მაგრამ, როცა შენი სახლიდან სტუმარი გაგდებას დაგიპირებს, ჩვენ გვგონია, რომ არავის არ ესიამოვნება ასეთი თავხედობა.

ამის აღნიშვნა, თუ სამართალია ქვეყნად, არ უნდა იყოს დასაძრახი, მაგრამ... სიმართლის თქმა „ერთაშორის შუღლის ჩამოგდებად“ მიაჩნიათ ზოგიერთებს და რაკი ხელში ჯოხი უჭირავთ, უდიერად უტყაპუნებენ თავში იმათ, ვისი აზრიც და ფიქრიც მხოლოდ სამართლიანობას დასტრიალებს.

საქართველოს სრული ზნეობრივი და იურიდიულ-ისტორიული უფლება აქვს ამხილოს მის მიწა-წყალზე შემოხიზნული ქართველი ერისაგან დაპურებული უცხონი და მოსთხოვოს მათ მადლისთვის მატლებს ნუ გვახვევენ და ხელს ნუ გვიშლიან, როცა ჩვენსავე სახლში ჩვენსავე მამულში ადამიანური ცხოვრების მოწყობა გვსურს.

გაიხსენონ სომხებმაც, ბერძნებმაც, რუსებმაც და ოსებმაც, როგორი მათხოვრები, მშივრები და დაბეჩავებულნი იყვნენ, როცა იგინი საქართველოში მოვიდნენ. გაიხსენონ ის სიკეთეც, რაც მათ საქართველომ გაუწია და სიკეთისთვის ბოროტად ნუ ირჯებიან.

განახლებული საქართველო, აღმდგარი მკვდრეთით არა ამ ხალხების „ინტერნაციონალისტობის“ გამო, არამედ აღმდგარი მკვდრეთით ისტორიული აუცილებლობით, შემდეგშიაც ადამიანურად მოექცევა თავისი ქვეყნის ქვეშევრდომთ, მაგრამ ისინი კი, ვინც სამარეს უმზადებს საქართველოს, უმალ თვითონვე ჩაწვებიან ამ სამარეში!...

საქართველოში მაღლა დვალეთამდე და თრუსომდე არ არის ოსეთი. არიან მხოლოდ ჩამოხიზნული ოსები, რომლებისთვისაც საქართველოს არა დაუშავებია რა და რომლებსაც ყოველთვის ძმურად მოექცევა. თუკი იმათვე არ გადალახეს უფლებანი საქართველოისა.

# საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# I ჯგუფი X ტური

## სტატისტიკის მოყვარულთათვის

**უნივერსიტეტი (თბილისი) – კოლხეთი-1913 (ფოთი) 2-4**

**მცხეთა. „არმაზის" სტადიონი.**

***თსუ:*** გაბელია, გ. ილურიძე, ზამთარაძე (ნინუა, 46), ვ. ღუდუშაური, ებრალიძე, (ბახტაძე, 60), ცომაია, კაკუბავა, მაღრაძე, წიტაიშვილი, ჰუმბურიძე, რუსტიაშვილი.

***კოლხეთი-1913:*** ქვაჩახია, ტორჩინავა (გოროზია, 36), კალანდაძე (დ. ნოზაძე, 57), ახვლედიანი, შალამბერიძე, ლალანიძე, გაბისონია, სუხიაშვილი (გიორგობიანი, 80), გვასალია, წივწივაძე, მ. ქობულაძე.

***გოლები:*** 1-0 კაკუბავა, 1-1 ქობულაძე (33), 1-2 წივწივაძე (39), 1-3 გაბისონია (42), 1-4 წივწივაძე (58), 2-4 წიტაიშვილი (63, პენ.).

***გაფრთხილეს:*** კაკუბავა.

***მსაჯი:*** ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

**სამგურალი (წყალტუბო) – ლოკომოტივი (თბილისი) 1-2.**

**წყალტუბო. 26 მაისის სახელობის სტადიონი.**

***სამგურალი:*** ხაჩირაშვილი, ფრანგიშვილი, გ. თევზაძე, ლ. ქობულაძე, გ. ჯანელიძე, ჭელიძე, მახვილაძე, ძაგნიძე, ჯინჭარაძე (ფაიქიძე, 65), თევდორაძე, კ. ჯანაშია.

***ლოკომოტივი:*** დ. ჯანელიძე, ბადაშვილი, არსოშვილი, ბარნოვი (მინდიაშვილი, 43), თარხნიშვილი, კ. გოგოლაძე, კ. მელქაძე, ბაქრაძე (კოტორაშვილი, 65), დაუშვილი (მარღიშვილი, 46), გოდერძიშვილი, კაციაშვილი.

***გოლები:*** 1-0 მახვილაძე (28), 1-1 გოდერძიშვილი (55), 1-2 მელქაძე (75).

***გაფრთხილეს:*** გ. დარსაძე („სამგურალის" მწვრთნელი), კაციაშვილი, ბაქრაძე, ფრანგიშვილი, თარხნიშვილი, კოტორაშვილი, მარღიშვილი, ჭელიძე.

***მსაჯი:*** მერაბ მალაღურაძე (თბილსი).

**სიონი (ბოლნისი) – ოდიში (ზუგდიდი) 1-0**

**ბოლნისი. თ. სტეფანიას სახელობის სტადიონი.**

***სიონი:*** ვოლკოვი, გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, მაზანაშვილი, მ. სამხარაძე, თ. სამხარაძე, მ. გოგოლაძე, მოსეშვილი, ჯაგიდისი, გაგუა.

***ოდიში:*** ნაყოფია, ღურწკაია, პ. ლურსმანაშვილი, კიპაროიძე, ტაბაღუა, ჩადუნელი (თოლორაია, 79), ბარქაია, მარკოზია (კუტალია, 46), თოლორდავა, ენდელაძე, ტყემალაძე.

***გოლი:*** მ. სამხარაძე (17).

***გაფრთხილეს:*** შაკიაშვილი, ჩადუნელი.

***მსაჯი.*** ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი)

**დილა (გორი) – ტორპედო (ქუთაისი) 3-0**

**გორი. ცენტრალური სტადიონი.**

***დილა:*** მდივანი, ფეზუაშვილი, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, გ. ჩიტაია (მაისურაძე, 74), გოჩაშვილი, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, თაყაძე, მოსულიშვილი (რ. ახალკაცი, 79), შატაკიშვილი (ნ. ახალკაცი, 83).

***ტორპედო:*** ასლანაძე, ქებაძე, ჩხაბერიძე, იონანიძე, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, კ. კვეტენაძე (ჩხაიძე, 77), თურმანიძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე, ჩხეტიანი.

***გოლები:*** მარეხაშვილი (43,90), თაყაძე (77).

***გაფრთხილეს:*** ჯანაშია, თურმანიძე, გაგნიძე.

***გააძევეს:*** მაისურაძე (85).

***მსაჯი:*** თემურ მაჭარაძე (ხონი).

**გორდა (რუსთავი) – დინამო (ბათუმი) 0-0**

**რუსთავი. „ფოლადის" სტადიონი.**

***გორდა:*** მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბურნაძე, ბექაური, მ.სახვაძე, კილასონია, გაბელია, ზირაქაძე, ქოიავა (ტარტარაშვილი, 35), ჩუხუა, კ. ალადაშვილი.

***დინამო:*** მალაყმაძე, პაპიძე, თორღაშვილი, სიჭინავა, კანტიძე, ღლონტი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, ტუღუში, რუსია (ყულეჯიშვილი, 74).

***გაფრთხილეს:*** ყულეჯიშვილი, ტუღუში.

***მსაჯი.*** სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

---

### სფფ–ს ყრილობის წინ

## რამაზ გოგლიძე – საუკეთესო კანდიდატურა

*ქართული ფეხბურთის ბოლოდროინდელი ფიასკო ბუმერანგია იმ უპასუხისმგებლო, ამბიციური და უსინდისო გადაწყვეტილებისა, რაც სფფ-მ მიიღო ბატონ რევაზ ძოძუაშვილის მიმართ. ფაქტია, რომ ოქრო გვჭერია ხელში და ვერ კი მოვიხმარია.*

*მაგრამ რ. ძოძუაშვილი დავკარგეთ. არ არის გამორიცხული, რომ სამუდამოდ, რადგან ვფიქრობ, მისით ევროპის ცნობილი გუნდები დაინტერესდებიან და ბატონმა რეზომ საქმეოა, ამ ქაოსში ჩამოსვლა ამჯობინოს ევროპულ პერსპექტივებს.*

*გვრჩება ერთადერთი გამოსავალი – სწორი არჩევანი გავაკეთოთ სფფ-ს ყრილობაზე. რაღაც უნდა შეიცვალოს, უნდა შეიცვალოს ძირფესვიანად. გვჭირდება კაცი, რომელიც მთლიანად გარდაქმნის ყველაფერს და ქართულ ფეხბურთს სწორ, თანამედროვეობის მოთხოვნათა გზით წაიყვანს.*

*აი, სწორედ ასეთი კაცია ბატონი რამაზ გოგლიძე. მე მას დიდი ხანია ვიცნობ, ვიცნობ კარგად, საფუძვლიანად. ბატონ რამაზს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართული სპორტის განვითარებაში. იგი ისეთი ჯაიდის კაცია, რომ იტყვიან, ცივ ქვაზე დაასახლებს ოჯახს. არის კომუნიკაბელური, ჰყავს უამრავი ნაცნობ-მეგობარი როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. აუცილებლად ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ ბატონი რამაზი მთელი თავით მაღლა დგას სხვა პრეტენდენტებთან შედარებით ინტელექტით, ცოდნა-განათლებით, კულტურით. საუბრობს რამდენიმე ენაზე. საქართველოს კპ ცკ-ში მუშაობდა უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგედ და ამ ურთულეს მოვალეობას თავს ართმევდა ბრწყინვალედ. იგი არის უაღრესად აქტიური, საქმიანი, შესანიშნავი ადამიანი, ერთგული მეგობარი, მეუღლე და მოქალაქე. სადაც უმუშავია, ყველგან დატოვა ღრმა, დადებითი კვალი. ბატონი რამაზი ანთებულია მამულიშვილური საქმე აკეთოს, არასდროს გილალატებს, მას შეგიძლიათ მიენდოთ...*

*ერთი სიტყვით, ბატონი რამაზ გოგლიძე არის საერთაშორისო სტანდარტების კაცი და საზღვარგარეთის საერთაშორისო წრეებში გააჩნია დამსახურებული ავტორიტეტი.*

*სასაცილოა მისი მტრების მიერ თითიდან გამოწოვილი დემაგოგიური ბრალდებები.*

*მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: თუ გვინდა რომ ეშველოს ქართულ ფეხბურთს, ავირჩიოთ ბატონი რამაზ გოგლიძე. ეს სწორედ ის კაცია, ვინც ჭაობიდან ამოიყვანს ჩვენს ფეხბურთს. ნუღარ გავიმეორებთ იმ მძიმე შეცდომას, რაც მოგვივიდა ბ-ნ რევაზ ძოძუაშვილის შემთხვევაში.*

*ომაზ ჩხეიძე,*
*მწერალი*

---

## რკინიგზელები ლიდერებში მკვიდრდებიან

მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, გუნდებმა თამაში სწრაფ ტემპში დაიწყეს. განსაკუთრებით სტუმრები აქტიურობდნენ, მაგრამ პირველი სახიფათო მომენტი ჯანელიძის კართან შეიქმნა: ძაგნიძე მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, ბოლო მომენტში კი უხეიროდ დაარტყა.. რამდენიმე წუთში დაუშვილმა და არსოშვილმა თითოჯერ მოსინჯეს მეკარე ხაჩირაშვილის სიფხიზლე. ტაიმის შუაწელში „სამგურალმა" კუთხურის მოწოდების უფლება მიიღო. ჯანაშიას ჩამოწოდებული ბურთი ჯანელიძემ მოიგერია, მაგრამ ყველაზე პირველმა მას მახვილაძემ მიუსწრო და შორეული დარტყმით გახსნა ანგარიში.

მეორე ტაიმში წვიმა გაძლიერდა. რკინიგზელებმა ტემპს უფრო უმატეს და მალე გოდერძიშვილმა კარგად ითამაშა დასწრებაზე, 1-1. ამის საპასუხოდ მასპინძლებმა მასირებულ შეტევებს მიმართეს, „ლოკომოტივი" კი კონტრშეტევებით პასუხობდა. მატჩის დამთავრებამდე 16 წუთით ადრე მელქაძემ მშვენივრად შეასრულა საჯარიმო დარტყმა 2-1.

უნდა ითქვას, რომ შეხვედრის ბოლოს თამაშმა ძალიან უხეში სახე მიიღო, რითაც აიხსნება მსაჯის მიერ ამდენი ფეხბურთელის ყვითელი ბარათით დასჯა.

მიხეილ ქორქოლიანი,
„ლელოს" საკ. კორ., წყალტუბო

## „რა გვაქვს გასაყოფი?"

**მას შემდეგ, რაც რუსეთის ნაკრებმა ზედიზედ 5 მატჩი წააგო (ორი ამხანაგური და სამი – ევროპის პირველობაზე), ცხადია, მიმდინარეობს დამნაშავეთა ძებნა. რუსეთის ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლ...ოვი ყოველნაირად უსვამს ხაზს, რომ მას რაიმე უთანხმოება ნაკრების მთავარ მწვრთნელ ანატოლი ბიშოვეცთან არცა აქვს და არც ჰქონია.**

**– მე მას უკვე 15 წელია ვიცნობ. თავის დროზე სწორედ ჩემი წინადადებით დანიშნეს ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად. შემდეგ საზღვარგარეთ მუშაობდა და, ამდენად, რაიმე კონტაქტი არ გვქონია. როცა დაბრუნდა, კვლავ კარგი ურთიერთობა დავამყარეთ. ვიყავი თუ არა ნაკრების მთავარ მწვრთნელად მისი დანიშვნის წინააღმდეგი? – არა, იგი ხმის უმრავლესობით აირჩიეს. არ არსებობს რაიმე საკითხი, ჩვენ რომ ერთმანეთს დავპირისპირებოდით. ერთ საქმეს ვაკეთებთ და, ამდენად გასაყოფი არაფერი გვაქვს.**

## კეთილი ინებე და...

...პრესკონფერენციაზე გამოცხადდი, – ასეთი მკაცრი წესი შემოიღო რუსეთის პროფესიულმა საფეხბურთო ლიგამ გუნდების უფროსი მწვრთნელებისათვის.

ამ დღეებში ლიგამ 30 ათასი რუბლით დააჯარიმა მოსკოვის „სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი ოლეგ რომანცევი მატჩის შემდეგ პრესკონცერენციებზე გამოუცხადებლობისათვის. იგივე წესს იცავს უეფაც. ამას წინათ რომანცევი არ მივიდა „სპარტაკისა" და მადრიდის „რეალის" მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე. ამასთან დაკავშირებით უეფას წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუ მწვრთნელი მატჩის დროს სათადარიგო მოთამაშეებთან ერთად სკამზე ზის (ე.ი. ავად არ არის), მან მონაწილეობა უნდა მიიღოს პრესკონფერენციაზე თუ არა და აუცილებლად დააჯარიმებენ.

## ხულიგნებმა სცემეს

**ის-ის იყო გამოჯანმრთელდა „როსტსელმაშის" ნახევარმცველი ოლეგ სანკო და ვარჯიშს შეუდგა, რომ მოულოდნელი რამ მოხდა. მას ერთ-ერთი ვარჯიშისას თავს დაესხა ფეხბურთის გულშემატკივართა ჯგუფი და ცემა დაუწყეს. სანკომ წინააღმდეგობა კი გაუწია, მაგრამ კვლავ დაშავდა და ახლა თავიდან დაიწყო მკურნალობა.**

---

# კალათბურთი ქუთაისში

*(პირველი გვერდიდან)*

ტურნირი. მაყურებელთათვის მოულოდნელი იყო ქუთაისელთა ბრწყინვალე სტარტი. საყურადღებოა, რომ ტურნირის დაწყებამდე მასპინძლებს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ქუთაისზე.

ბევრმა არც კი იცოდა: „ქუთაისი" გუნდის სახელწოდება იყო, სპორტული საზოგადოების თუ ქალაქის. ამ მხრივ საქმე გააძნელა იმ გარემოებამ, რომ შეჯიბრებაში მონაწილე ქალაქები: მოსკოვი, რიგა, ტალინი, ლენინგრადი, ოდესა, კაუნასი, ვილნიუსი და თბილისი მოხსენიებული იყო აფიშებში, ხოლო ქუთაისის მაგივრად ეწერა и другие.

ჩვენი ქალაქის წარგზავნილებმა ჯერ დაამარცხეს ქ. ლენინგრადის გუნდი 61:27, შემდეგ – რიგის წარმომადგენლები 25:23, ოდესელი სპორტსმენები – 51:28 და მეოთხე წრეში სძლიეს თბილისის ძლიერ გუნდს – 43:35. მათთან მივიდნენ ადგილობრივი გულშემატკივრები და გაკვირვებული ეკითხებოდნენ: თქვენ საიდან ხართ, ასეთ კარგ კალათბურთს რომ თამაშობთო, არც აფიშებში ხართ მოხსენიებულიო. ქუთაისელთა გუნდის თავმა სულიკო თორთლაძემ ღიმილით უპასუხა ჩვენ и другие-დან ვართო და ბიჭები სტუმრებს რუკაზე აჩვენებდნენ მშობლიური ქალაქის ადგილ-მდებარეობას.

მართალია, ტურნირის დასკვნით სტადიაში ქუთაისელები დამარცხდნენ მასპინძლებთან და მოსკოველებთან შეხვედრებში, მაგრამ ბოლო მატჩში დასძლიეს ფსიქოლოგიური ზღუდე და დაამარცხეს საკმაოდ ტიტულოვანი ტალინის გუნდი და საპატიო მესამე ადგილი დაიკავეს. ქუთაისელთა რიგებში იყვნენ: ოთარ ქორქია, სულიკო თორთლაძე, ალეკო და შოთა მესხები, ჯუმბერ ნიჟარაძე, შოთა ქორქაშვილი, ბონდო ქუთელია და დათო სირბილაძე.

იმავე წელს სპორტსაზოგადოება „დინამოს" საკავშირო პირველობაზე კვლავ წარმატებით იასპარეზეს ქუთაისელებმა. მათ ფინალამდე ყველა მეტოქე დაამარცხეს, ხოლო დასკვნით ასპარეზობაში თამაში და პირველი ადგილი დათმეს მოსკოვის გუნდთან (23:26).

ბუნებრივია, ქუთაისელთა წარმატებებმა მათ გულშემატკივართა მრავალათასიანი არმია შესძინა, დიდმა გალაკტიონმა ერთ-ერთ მეგობრულ შეხვედრაზე ქებით მოიხსენია ქუთაისელი კალათბურთელები და ექსპრომტი უძღვნა მათ.

*„მე ვამაყობ თქვენით, განა ვინმე სხვისით,*
*ჩემი სპორტსმენებით, ჩემი ქუთაისით*
*ან რა დამავიწყებს, ჩემს მშობლიურ რიონს,*
*თქვენი გამარჯვება ალხენს გალაკტიონს."*

დრო მიდიოდა. კალათბურთი უფრო სრულყოფილ სახეს იღებდა. იცვლებოდა თამაშის წესები, ტაქტიკა, უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სისწრაფესა და სიმაღლეს. ქუთაისელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სწორედ ერთ-ერთმა პირველებმა ჩვენს ქვეყანაში შემოიღეს ე.წ. თამაში ცენტრზე დაყრდნობით. ქუთაისელებს ჰყავდათ ბრწყინვალე ცენტრალური თავდამსხმელი, განუმეორებელი ოთარ ქორქია, რომელიც შემდეგ ამ მისიას შესანიშნავად ასრულებდა როგორც თბილისის დინამოში, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის ეროვნულ ნაკრებშიც.

იმავე 1945 წელს ჩატარებულ საკავშირო ჩემპიონატზე ქუთაისელები მხოლოდ მე-5 ადგილით დაკმაყოფილდნენ. თუ ეს წარუმატებლობაა, მიზეზიც უნდა მოვიხსენიოთ. ორი წამყვანი კალათბურთელი სულიკო თორთლაძე და შოთა ქორქაშვილი თბილისის „დინამოში" მიიწვიეს და მათმა არყოფნამ დალი დაასო ქუთაისელთა თამაშს. დიდი შეცდომა იყო, როცა ქუთაისი გაიძარცვა ნიჭიერი კალათბურთელებისაგან. სულიკო თორთლაძის და შოთა ქორქაშვილის კვალდაკვალ თბილისის დინამოში ამოჰყვეს თავი ოთარ ქორქიამ, ჯუმბერ ნიჟარაძემ, ალეკო მესხმა, მოსკოვის დინამოში მიიწვიეს კიჟი მესხი, კიევში – ბოჩიკო ქუთელია, თბილისის ოფიცერთა სახლში – ოთარ სულაბერიძე, შოთა სადრაძე, ხოლო უფრო გვიან კუკური არღანაშვილი.

ნახევარი საუკუნის უკან დაშვებული საბედისწერო შეცდომა ზურგში მახვილის ჩაცემა იყო რიონისპირა ქალაქის კალათბურთისათვის. აქ ლიტველების მაგალითს მოვიშველიებ. წლების განმავლობაში ვილნიუსის „სტატიბა" და კაუნასის „ჟალგირისი" გამოდიოდნენ საკავშირო ჩემპიონატებში, თამაშის ხარისხით და შედეგიანობით „ჟალგირისი" ყოველთვის სჯობდა „სტატიბას", მაგრამ არავის აზრადაც არ მოსვლია, რომ კაუნასის ხარჯზე ვილნიუსის გუნდი გაეძლიერებინათ. ჩვენთან კი, სამწუხაროდ, პირიქით მოხდა.

რა თქმა უნდა, ქუთაისიდან ერთდროულად ამდენი ვარსკვლავის წასვლამ, წლების მანძილზე ხელი შეუწყო, კალათბურთი ამ ქალაქში ერთგვარ ჩრდილში რომ მოქცეულიყო. ბუნებრივია, წარმატებებმაც იკლო დიდ სარბიელზე. მართალია, ქალაქში გამოჩნდა ახალი თაობა: გივი ყაველაშვილი, მიშა ჩოგოვაძე, ოთარ ადეიშვილი, ბონდო გურეშიძე, ბონდო ქუთელია, თორნიკე ყიფიანი, ვახტანგ ლებანიძე, თენგიზ ყიფიანი, შ. გიგინეიშვილი და სხვა, მაგრამ მათ ჯერ კიდევ აკლდათ გამოცდილება, მაღალი ოსტატობა და, რაც მთავარია, ფსიქოლოგიურად არ იყვნენ მომზადებული მაღალი რანგის ტურნირებში სასპარეზოდ. მართალია, ახალგაზრდობა ძალას და ენერგიას არ იშურებდა, მაგრამ, როცა ძალა აღმართს ხნავს, მარტო მონდომებით ქუთაისელები ფონს ვერ გავიდოდნენ.

ომის შემდგომ წლებში საკავშირო სარბიელზე ქუთაისის მე-12 რკინიგზის საშუალო სკოლის კალათბურთელებმა სპორტის მოყვარულთა ყურადღება მიიპყრეს – 1946 წლის ივლისის მეორე ნახევარში მოსკოვში ჩატარებულ რკინიგზის სკოლების მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ამიერკავკასიის სპორტულ ღირსებას ქუთაისის ამ სკოლის მოსწავლეები იცავდნენ. ცნობილი კალათბურთელის მიშა ჩოგოვაძის აღსაზრდელებმა დაამარცხეს რიაზანის გუნდი – 40:6, ლენინგრადის კოლექტივი – 33:4 და კურსკელი თანატოლები – 56:2. ფინალში ქუთაისელებმა ტრადიციას არ უღალატეს და 31:8 დაჯაბნეს მასპინძლების ძლიერი კოლექტივი, გუნდმა სამართლიანად მოიპოვა ჩემპიონობა რკინიგზის სკოლის კოლექტივებს შორის, გამარჯვებული გუნდის წევრები იყვნენ: ხუხა ბაზაძე, ვაჟა ჯიქია, რეზო ნანავა, თენგიზ ყიფიანი, რეზო ვარსემაშვილი, რომანი დარჩია და სხვები.

60-იან წლებში ქალაქის „მშენსახლპროექტის" ბაზაზე კალათბურთელთა საინტერესო კოლექტივი შეიქმნა, რომლის სპორტულ ღირსებას იცავდნენ ქალაქში ცნობილი სპორტსმენები: დათო ქელბაქიანი, ლევან ყიფიანი, ოთარ ადეიშვილი, თენგიზ ყიფიანი, ეფრემ ჩიკვაშვილი, ავთანდილ ყიფიანი, ანზორ რუხაძე და ჰიკლი ჩაჩუა. „მშენსახლპროექტი" არაერთხელ ყოფილა ქალაქის ჩემპიონი და სისტემატურად იმარჯვებდა საქართველოს საპროექტო ორგანიზაციების სპარტაკიადებზე, რომელშიც ქუთაისელებთან ერთად მონაწილეობდნენ თბილისის, ბათუმის, სოხუმის და რუსთავის წარმომადგენლები.



*1947 წ. მოსკოვის დინამო. მარცხნიდან: ვ.კოლპაკოვი, ა.გუსევიჩი, ბ.ეგოროვი, ა.ლოშანოვი, შ.მესხი, ა.ზინინი, ს.სპანდარინი*

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ვისი ხარ, ნუგზარ, ვისი?

მას შემდეგ, რაც მოსკოვის ცსკა-ს ფეხბურთელთა გუნდის სათავეში პაველ სადირინის ნაცვლად მოვიდა ოლეგ დოლმატოვი, მისი საქმეები საგრძნობლად გამოკეთდა და ახლა ეს კოლექტივი მედლების რეალური პრეტენდენტია. ამასთანავე, ბოლო ტურებში რამდენიმე არმიელმა მოთამაშემ მიიღო ტრავმა. ამის გამო აქტუალური გახდა საკითხი, თუ ვინ შეცვლიდა ამ ფეხბურთელებს. სწორედ მაშინ მოისაკლისეს მცველი ნუგზარ ლობჟანიძე — შარშანდელ სეზონში მან 10 მატჩი ჩაატარა ცსკა-ს შემადგენლობაში, მერე კი გაანათხოვრეს თბილისის „დინამოში“. როგორც არმიელთა კლუბის მესვეურებმა განუცხადეს „ლელოს“ მოსკოველ კორესპონდენტს, თბილისის „დინამომ“ ლობჟანიძე ერთი წლით ითხოვა და ეს მოთამაშე წელს, 1 ივლისს კვლავ უნდა დაბრუნებოდა მოსკოვური გუნდისათვის. ამის ნაცვლად თურმე, „დინამოს“ ლობჟანიძე ერთ-ერთ ბერძნულ კლუბში გაუყიდია. დარბიან ახლა არმიელები და არკვევენ, ჰქონდათ თუ არა ქართველებს უფლება გაეყიდათ მათგან ნათხოვარი ფეხბურთელი.

## „ახალი სისხლია საჭირო“

ასე განაცხადა ცნობილმა ბულგარელმა თავდამსხმელმა ლიუბოსლავ პენევმა, რომელიც ესპანეთის „სელტაში“ თამაშობს. 32 წლის პენევმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ საბოლოოდ სტოვებს ნაკრებს, რომელსაც ახალგაზრდა მოთამაშეების მოწვევა და გადახალისება სჭირდება.

ნაკრებში აღარ ითამაშებენ ისეთი გამოცდილი ფეხბურთელები, როგორნიც არიან: მცველი ტრიფონ ივანოვი, ნახევარმცველი კრასიმირ ბალაკოვი და თავდამსხმელი ემილ კოსტადინოვი, ჯერჯერობით რჩება იაპონიის ლიგაში მოთამაშე ხრისტო სტოიჩკოვი, რომლის კარიერაც ექსპერტების აზრით, დასასრულს უახლოვდება.

## „სანამ არ განვიკურნები“

ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი პოლ გასკოინი მკურნალობს ალკოჰოლური რეაბილიტაციის ცენტრში, იქ, სადაც სამი წლის წინათ სავსებით განიკურნა მისი პარტნიორი ინგლისის ნაკრებში პოლ მერსონი.

აქ მან დაახლოებით თვენახევარი უნდა დაჰყოს და იმედოვნებს, რომ ამიერიდან ალკოჰოლურ სასმელებს აღარ მიეკარება.

— ამ სასმელების გამო ოჯახი დავკარგე, ახლა აღარ მინდა ფეხბურთიც დავკარგო. ამიტომ არ გამოვალ მინდორზე, სანამ არ შემეძლება თქმა: „მე არ ვსვამ“.

## ძველი მკურნალი თუ უშველის

მას შემდეგ, რაც „პარი სენ-ჟერმენიდან“ გაათავისუფლეს ახალგაზრდა მწვრთნელი ალენ ჟირესი („ნიჭიერიც არის და მონდომებულიც, მაგრამ მაგისთვის „სენ-ჟერმენში“ მუშაობა ჯერ კიდევ ადრეა“ — ასეთი იყო კლუბის პრეზიდენტ შარლ ბიეტრის დასკვნა), მის მაგივრად თითქმის გადაწყვეტილი იყო ფაბიო კაპელოს მიწვევა, მაგრამ ბოლოს მაინც პორტუგალიელი სპეციალისტი არტურ ჟორჟი ამჯობინეს.

ჟორჟის ერთი დამსახურება აქვს — მან ერთხელ უკვე მოუპოვა „პარი სენ-ჟერმენს“ საფრანგეთის ჩემპიონობა, უკანასკნელი მის პრაქტიკაში.

ჟორჟი უკვე შეუდგა საქმეს — ახლა იგი აპირებს ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურიდან“ ჟინოლას გადმოყვანას.

## შესაძლებლობებს გამოყენება უნდა

როსტოველი გულშემატკივრები ხშირად გკითხებიან „როსტსელმაშის“ გუნდის ხელმძღვანელობას — ახლა, როცა ამ კლუბის საქმეები რუსეთის ჩემპიონატში არცთუ ისე კარგადაა, რატომ არ თამაშობენ ძირითად შემადგენლობაში ცნობილი მცველები ალექსანდრ ბონდარი, ვლადისლავ ტერნავსკი, ან ნახევარმცველი ანდრეი კოვალენკო? რატომ გამოდიან ისინი „როსტსელმაშ-2“-ში, რომელიც მეორე ლიგაში თამაშობს.

როსტოველთა მწვრთნელ სერგეი ანდრეევის პასუხი ასეთია: მან თავისი შესაძლებლობის გამოვლენის შანსი ყველას მისცა, ამ სამეულმა კი იგი არ გამოიყენა. შედეგიც სახეზეა.

## „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“

ლატვიის სეიმმა (პარლამენტმა) მოქალაქეობის უფლება „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ მიანიჭა 24 წლის ფეხბურთელ მიხაილ მიხოლაპს, რომელიც რიგის „სკონტოში“ თამაშობს. მიხოლაპი ეროვნებით რუსია, კალინინგრადის ოლქიდან, არ იცის ლატვიური ენა, რაც აუცილებელია ლატვიის რესპუბლიკის მოქალაქის უფლების მისაღებად. ერთი სიტყვით, პარლამენტმა გამონაკლისი დაუშვა იმ მიზნით, რომ მიხოლაპმა, რომელიც შედეგიანი თავდამსხმელია (რასაც კარგად ამტკიცებს „სკონტოში“) ლატვიის ნაკრები გააძლიეროს.

## ანტიკორუფციული პოლიცია „ატლეტიკოს“ ეწვია

ესპანეთის კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული პოლიციის განყოფილება მოულოდნელად მადრიდის „ატლეტიკოს“ ოფისს ეწვია. რეიდის მიზანი იყო იმის გარკვევა, რა დამოკიდებულება აქვს კლუბს ქ. მარბელას ქალაქის საბჭოსთან. საქმე ის არის, რომ ესპანეთის სამხრეთით მდებარე საკურორტო ქალაქის — მარბელას მერი და „ატლეტიკოს“ საყოველთაოდ ცნობილი პრეზიდენტი ხესუს ჰილი ერთი და იგივე პიროვნებაა. ქალაქის ბიუჯეტიდან სისტემატიურად ქრება თანხები და არის ეჭვი, ხომ არ იხარჯება ეს „ატლეტიკოში“.

მოჰყავთ ასეთი მაგალითი: ქ. მარბელამ აიღო 220 მილიონი დოლარი ვალი, დაიწყო დიდი მშენებლობა, მაგრამ მალე ქალაქის საბჭო გაკოტრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. სად დაიკარგა ეს დიდი თანხა?

„ატლეტიკოს“ ოფისში ნაპოვნი დოკუმენტებიდან პოლიციამ ბევრი ვერაფერი შეიტყო. ერთადერთი დოკუმენტი მიუთითებს იმაზე, რომ ქ. მარბელამ მადრიდის კლუბ „ატლეტიკოს“ სპონსორობა იკისრა. სამაგიეროდ ამ სახელოვანი კლუბის ფეხბურთელებს ქ. მარბელასათვის რეკლამა უნდა გაეწიათ. უფრო ზუსტად, ისინი თამაშობდნენ მაისურებით, რომელსაც „მარბელა“ ეწერა. „ატლეტიკო“ ამას ორი უკანასკნელი სეზონის მანძილზე აკეთებდა კიდეც. ჯერჯერობით სულ ეს არის. დანარჩენის დამტკიცება ვერ ხერხდება.

## როცა ვეტერანები არ თმობენ

მოსკოვის რუსეთის მეორე დივიზიონის „ტორპედო-ზილს“ გარანტირებული აქვს პირველ დივიზიონში გადასვლა. ამ წარმატებას მიმომხილველები კლუბში შექმნილ კარგ საბრძოლო სულისკვეთებასთან ერთად, ვეტერანების ჩინებულ მოქმედებასაც მიაწერენ, რომელთა შორის გამოირჩევიან მცველი ოლეგ შირინბეკოვი, ნახევარმცველი გლებ პანფეროვი და თავდამსხმელი ალექსეი სნიგირიოვი.

გუნდის ახალი მწვრთნელი ბორის იგნატიევი, რომელიც ამ ზაფხულამდე რუსეთის პირველ ნაკრებს ხელმძღვანელობდა, ახალ შეგირდებზე დიდ იმედებს ამყარებს.

## სომხების კურსი ლეგიონერებზეა

ვინაიდან სომხეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელს სურენ ბარსეღიანს ლეგიონერების იმედი აქვს, სუსტი ეროვნული ჩემპიონატი მის მუშაობას ნაკლებად უწყობს ხელს.

აი ეს ლეგიონერებიც: მეკარე რომან ბერეზოვსკი (სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი“), მცველები ერიკ ასადურიანი (საფრანგეთის „ბოვე“), არუთინ ვარდანიანი (შვეიცარიის „ლოზანა“), ერვანდ კრბაშიანი (რუსეთის „ირტიში“), სარქის ოსეფიანი („ზენიტი“), ვარდან ხაჩატრიანი (თურქმენეთის „კოპეტდაღი“), შუა ხაზი — ძმები არმენ და არტაშეს ადამიანები (სმოლენსკის „კრისტალი“, რუსეთი), არტურ მკრტიჩიანი (მოსკოვის „ტორპედო“), ალბერტ სარქისიანი (მოსკოვის „ლოკომოტივი“), თავდამსხმელები — გარნიკ ავალიანი (სამარის „კრილია სოვეტოვი“), კარაპეტ მიქაელიანი (რუსეთი, იჟევსკის „გაზოვიკ-გაზპრომი“), არმენ შახგელდიანი (შვეიცარიის „ლოზანა“).

დღეისათვის უძლიერეს სომეხ ფეხბურთელ ალენ ბოგოსიანს სომხეთის ნაკრებში თამაშის უფლება არა აქვს — იგი ხომ საფრანგეთის ნაკრებში გამოდის.

## „მთავარია აზროვნების გაუმჯობესება“...

... ასე ფიქრობს კოლუმბიის ნაკრების ახალი მწვრთნელი, 40 წლის ხავიერ ალვარესი. „პირველ რიგში მე იმას უნდა მივაღწიო, რომ მოთამაშეებმა უფრო სწრაფად, უფრო უკეთესად იაზროვნონ. აი, თუკი ეს გავაკეთე...

ალვარესი კოლუმბიურ ფეხბურთში იმით გახდა ცნობილი, რომ პროვინციული „კალდასი“ ქვეყნის ჩემპიონი გახდა.









## „სამი კოვზი თაფლი...“

უკრაინის რუსულენოვანი გაზეთის „კიევსკიე ვედომოსტის“ რუსეთის ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ გაზეთს მოჰყავს ცნობილ ფორვარდ სერგეი რებროვის სიტყვები იმის შესახებ, რომ ჯგუფში სამი თანაბარი ძალის ნაკრებია: უკრაინა, რუსეთი და საფრანგეთი, რომლებიც გაითამაშებენ ფინალის საგზურებს. „რუსეთი, დამარცხების მიუხედავად, ფავორიტთა რიცხვში რჩება“.

რეიტერის სააგენტოს მიმომხილველი აფრთხილებს მსოფლიო ჩემპიონებს — ფრანგებს, რომ მათ შეუძლიათ კიევში ქულები დაკარგონ.

## რა მოუტანა ხეტიალმა

დმიტრი რადჩენკო მოსკოვის „სპარტაკში“ ჩინებულად თამაშობდა, მაგრამ 5 წლის წინათ ესპანეთში წავიდა და აქ კი აღარ ივარგა. აქ მან გამოიცვალა სანტანდერის „რასინგი“, „ლა კორუნია“, მეორე ლიგის კლუბი „რიო ვალეკანო“ (მადრიდი), შარშან „მერიდაში“ გამოდიოდა, სადაც დაშავდა კიდეც. იგი „ლა კორუნიას“ ეკუთვნის, რომელიც აცხადებს, რომ თანახმაა გაყიდოს კიდეც.

# კოლოსკოვმა, 4 წელიც გამიძელით

„წადი, ვიაჩესლავ, წადი!..“ — ასე ერქვა „ლელოს“ მოსკოველი კორესპონდენტის არკადი სმირნოვის კორესპონდენციას, რომელიც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაიბეჭდა. მასში საუბარი იყო იმის თაობაზე, რომ რუსეთის სპორტული საზოგადოება და, ცხადია, პირველ რიგში, პროფესიონალური საფეხბურთო ლიგა და მისი პრეზიდენტი ნიკოლაი ტოლსტიხი გადაჭრით მოითხოვენ საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის ვიაჩესლავ კოლოსკოვის გადადგომას. გუშინ არკადი სმირნოვმა ბლიც-ინტერვიუ ჩამოართვა კოლოსკოვს.

● *ბატონო ვიაჩესლავ, რას იტყვით რუსეთის საფეხბურთო კავშირსა და პროფესიონალურ ლიგას შორის კონფლიქტზე?*

— სჯობს ლიგამ თავისი უშუალო ფუნქციები შეასრულოს. იგი ძალიან ამბიციური გახდა და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ მოიპოვოს რუსეთის ფეხბურთში მართვის სათავეები. თავის დროზე ტოლსტიხის დანიშვნა პროფესიონალური ლიგის ხელმძღვანელად ჩემი უშუალო მეცადინეობით მოხდა. ამჟამად ვნანობ, შევცდი. როგორც ეტყობა, ლიგამ ძალიან დიდი ძალაუფლება ჩაიგდო ხელში. ამიტომ ამ დღეებში მოვიწვევთ რუსეთის საფეხბურთო კავშირის კონფერენციას, სადაც განვიხილავთ ამ საკითხს.

● *ესე იგი, გადადგომას არ აპირებთ?*

— ჩემი ძალაუფლებები, როგორც კავშირის პრეზიდენტისა, იწურება 2002 წელს. ნება იბოძონ და ამ ვადამდე გამიძლონ. ამასთანავე, 2002 წლის კავშირის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობას აღარ მივიღებ.

● *თქვენ თვლით, რომ რუსული ფეხბურთი კრიზისში არ იმყოფება?*

— კრიზისს განიცდის მხოლოდ ეროვნული ნაკრები და არა მთლიანად რუსული ფეხბურთი. ამაზე პასუხისმგებელია ნაკრების მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი.

**არკადი სმირნოვი,**
**„ლელოს“ საკ. კორ., მოსკოვი.**

# ერითროპოეტინი აკრძალული სტიმულატორია

პრეპარატმა ერიტროპოეტინმა დიდი გავრცელება მიიღო კალგარის 1988 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დროს, თუმცა უკვე ორი წლის შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა იგი აკრძალა. ამის მიუხედავად, დროდადრო სხვადასხვა სპორტსმენებს და ცალკეულ გუნდებსაც კი ამხელენ მის გამოყენებაში. როცა ამ ზაფხულს იტალიის „პარმას“ 24 ფეხბურთელი შეამოწმეს, ყველას, არგენტინელ ხუან ვერონის გარდა, სისხლში წითელი ბურთულების ცვლილებები აღმოაჩნდა. ამ 24 ფეხბურთელს შორის არა ყოფილა ორი ფრანგი მსოფლიო ჩემპიონი ლილიან ტიურამი და ალენ ბოგოსიანი, რომლებიც ამ დროს ისვენებდნენ, მაგრამ გამოქვეყნებულმა ცნობამ ისინიც შეაშფოთა, პრესაში კი სხვადასხვანაირი ცნობები გამოჩნდა.

დანიელ ბრავომ, რომელიც ადრე „პარმაში“ თამაშობდა, ახლა კი მარსელის „ოლიმპიკში“ გამოდის, პარიზის გაზეთ „ფრანს სუარის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ იტალიურ კლუბში მატჩის დღეს ფეხბურთელებს ჩხვლეტებს უკეთებდნენ. „მე და ტიურამი ამას ბუზღუნით ვხვდებოდით, მაგრამ ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ვერ გამოვდიოდით“. მისი სიტყვით, ფეხბურთელები დარწმუნებული იყვნენ, რომ საქმე ვატამინურ ინექციას შეეხებოდა. დაახლოებით იგივე თქვა საფრანგეთის ტელევიზიის გამოსვლისას კრისტოფ დიუგარიმ, რომელიც ადრე ასევე იტალიაში, „მილანში“ გამოდიოდა.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი კლოდ სიმონე აღნიშნავს, რომ „პარმას“ ისტორია მიგვითითებს იმაზე, რომ სჯობს შემოვიღოთ სისხლის ანალიზი მატჩის შემდეგ. რაც შეეხება საფრანგეთის ნაკრებს, აქ, მისი სიტყვით არასოდეს მიმართავდნენ რაიმე სტიმულატორს. ფეხბურთში ნამდვილად შეიძლება დიდი მიღწევების მოპოება ყოველგვარი დოპინგის გარეშე. იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა, როცა მოთამაშე (მეკარე ბერნარ ლამა), ნაკრების მზადების დროს, დაისაჯა ანაშის მოწევისათვის.

## იუჰანსონი – მოლდავეთის საპატიო მოქალაქეა



მოლდაველებმა ჭკუით გვაჯობეს და აი რატომ, ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებისათვის გაწეული დიდი წვლილისათვის უეფას პრეზიდენტს ლენარტ იუჰანსონს უბოძეს მოლდავეთის საპატიო მოქალაქეობა. თურმე, უეფას თანხით აუშენებიათ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის უთანამედროვესი ოფისი. იტყობინებიან, რომ მედალი იუჰანსონს გადასცა მოლდავეთის პრეზიდენტმა პეტრე ლუჩინსკიმ. უეფას პრეზიდენტმა განაცხადა: „ეს ჯილდო მიბიძგებს კიდევ უფრო მეტი გავაკეთო თქვენთვის. ასე, მინდა გამოგიყოთ ფული ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქციისათვის, აგრეთვე, შესაძლებელია მატერიალურად დავეხმარო ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთს“.

## „ბარსას“ ფიესტა შვენის

სახელოვან კატალონიურ კლუბს მომავალი 1999 წელს დაარსებიდან ასი წელი შეუსრულდება – „ბარსელონა“ საუკუნეს მიითვლის. კლუბის პრეზიდენტმა ხოსე ნუნიესმა დაიქადნა, რომ ამ ღირსშესანიშნავი თარიღისთვის არც ძალისხმევას და არც ფულს დავიშურებო. ზეიმი მომავალი წლის გაზაფხულისთვისაა დაგეგმილი, (ზუსტი თარიღი ჯერჯერობით უცნობია), რომლის დაგვირგვინებად „ბარსელონისა“ და ბრაზილიის ეროვნული გუნდის მატჩი მოგვევლინება. „ეს გრანდიოზული პროექტი იქნება და ძალიან დამწყდება გული თუ მის განხორციელებას რაიმე ხელს შეუშლის“ – განაცხადა ხოსე ნუნიესმა.

## ვეტერანს „ბიჭუნა“ შეცვლის

ხორვატიის ეროვნული გუნდის ვეტერანმა მეკარემ, 35 წლის დრაჟენ ლადიჩმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ნაკრებში აღარ ითამაშებს. 14 ოქტომბერს ჩატარებული მატჩი (ხორვატია – მაკედონია 3-2)



უკანასკნელი აღმოჩნდა ლადიჩისთვის, რომელიც ახლა მხოლოდ ზაგრების „კროაციის“ ღირსებას დაიცავს. „კარგა ხანია, რაც ნაკრებში ვთამაშობ და ვფიქრობ დროა ასპარეზი ახალგაზრდებს დავუთმო“ – ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება დრაჟენმა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამიერიდან ხორვატიის ეროვნული გუნდის ძირითადი გოლკიპერი თურქულ „ბეშიქთაშში“ მოთამაშე მარიან მრმირიჩი იქნება, რომელსაც ნაკრების პირველი მეკარის პატივი 33 წლის ასაკში ხვდა წილად.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# როცა ფეხბურთი კალათბურთს ემსგავსება ანუ „დინამომ“ მსუბუქად წაივარჯიშა

**დინამო (თბილისი) – იბერია (სამტრედია) 7-2**

**თბილისი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი**

***დინამო:*** გვარამაძე, ი. მახარაძე (ქემოკლიძე, 61), ჭელაძე, დიდავა, მუჯირი, გუჩუა (კვარაცხელია, 51), კიკნაძე, მიქაძე (სახვაძე, 69), აშვეთია, არჩვაძე, გ. შენგელია.

***იბერია:*** დოლიძე (ჩაჩუა, 46), სადილიანი, ლურსმანაშვილი, გეგეშიძე, ი. გეგიაძე, ამაშუკელი (ივერიანი, 56), ხუჭუა, ჩომახიძე, ვ. გეგიაძე, თოდუა, ბრეგვაძე (ჭელიძე, 25).

***გოლები:*** 1-0 კიკნაძე (9), 2-0 მუჯირი (17), 3-0 აშვეთია (41), 4-0, 5-0 შენგელია (51, 57), 6-0 აშვეთია (64), 6-1 ივერიანი (65), 6-2 ჭელიძე (66, პენ.), 7-2 შენგელია (69).

***მსაჯი:*** ლევან ფანიაშვილი (თბილისი).

გინახავთ მატჩი, როდესაც ერთი წუთის განმავლობაში ერთი და იგივე მცველი ორჯერ არღვევს თამაშის წესს საკუთარ საჯარიმო მოედანში? ასეთი რამ მოხდა ამ შეხვედრაში და ეს მცველი დინამოელი ქემოკლიძეა. ეს „გმირობა“ მან შეცვლაზე გამოსვლიდან ხუთიოდე წუთში მოახერხა, თუმცა ახალგაზრდა ფეხბურთელის სასახელოდ უნდა ითქვას, თავისი შეცდომები მან ერთგვარად გამოასწორა, როცა მოულოდნელად ჩაერთო მასპინძელთა ერთ-ერთ შეტევაში და მშვენიერი პასით შენგელიას ამ შეხვედრაში მესამედ გაატანინა გოლი.

მანამდე კი, სანამ მინდორზე ეს მოვლენები განვითარდა, დინამოელებმა საქმე მოათავეს – მსუბუქად, დინჯად, უოველგვარი პრობლემების გარეშე, თუმცა, ამაში მათ მეტოქემაც შეუწყო ხელი: იშვიათად, რომ მცველებმა ამდენი უხეში შეცდომა დაუშვან. არ ვიცი, რა დავალებას აძლევენ სამტრედიელი მწვრთნელები უკანა ხაზის მოთამაშეებს, მაგრამ ამ რგოლში რომ ყველაფერი რიგზე არაა, ადრეც გვითქვამს – არავითარი ურთიერთდაზღვევა, მჭიდრო მეურვეობა, „მეორე სართულზე“ თამაშში ხომ დინამოელებმა სამტრედიელებს თითქმის ყველა ორთაბრძოლა მოუგეს. ობიექტურობა მოითხოვს და ვიტყვით, რომ არც დინამოელი მცველები აღმოჩნდნენ ამ დღეს უცოდველნი. საილუსტრაციოდ აღვნიშნავთ, რომ მათი შეცდომების შედეგად გვარამაძესთან პირისპირ გავიდნენ ჩომახიძე, ხუჭუა, ვ. გეგიაძე. ასეთი მომენტი სამტრედიელებს ექვსი ჰქონდათ, მაგრამ რად გინდა...

ჩემს გვერდით, ბავშვთა ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელი იჯდა. როცა ანგარიში ლამის საკალათბურთო გახდა, მან ნორჩები სტადიონიდან წაიყვანა, ვაითუ ამათგან ჩემმა შეგირდებმაც ისწავლონ ასეთი უჭიგრო თამაში დაცვაშიო. არადა, ვისგან უნდა აიღონ მაგალითი ჩვენმა ბავშვებმა?

ჯემალ ჭიპაშვილი

# გლდანი – ფალავანთა სოფელი



მინდა მოგითხროთ იმის შესახებ, რაც გადმოცემით ვიცი სოფლის უხუცესი ადამიანებისაგან.

გლდანელ ფალავნებზე საუბარს ისინი, ცხადია, კულა გლდანელით იწყებენ. კულა ხომ ამ სოფლისა და მთელი ქართული სპორტის სიამაყეს წარმოადგენდა. დალაქი ბერუას ვაჟი ყოფილა კულა, ლამაზი და მოხდენილი ვაჟკაცი. მისი ნამდვილი გვარი და სახელი ვანო ყრიმელი იყო.

დიდ სპორტში პირველი ნათლობა ჯერ კიდევ მაშინ მიიღო, როდესაც მიკიტან სოლო ოსიშვილთან მუშაობდა მოსამსახურედ. შემდეგ კი... შემდეგ მისი დიდება ხალხური მთქმელების ქების საგანიც კი გამხდარა: ხომ გახსოვთ:

„გამოვიდა კულა, ჯერ არ გალახულა,
როცა გაილახება, მაშინ დაიმარხება“.

სხვათა შორის, კულას სახელი ხევსურულ ხალხურ პოეზიაშიცაა შექებული:

„უნდ დაიკვეხნოს, კულაო,
ბიჭამა, შენისთანამა!
გამახვე საჭიდაოდა,
ძალამ გიშველა ღვთისამა,
დაიწყვი ჭიდაიობაი,
კეცა დაიწყო მიწამა“.

კულა თავისი ქველმოქმედებითაც ყოფილა განთქმული. წრეში აკრეფილი მისი შემოსავალი ხშირად ეგზავნებოდა ხანმოკლე ოჯახებს, მათ შორის რუსეთში სასწავლებლად წასულ ვაჟა-ფშაველას.

კულას გზას ბევრი გლდანელი ფალავანი გაჰყვა, მათ შორის დიდად პოპულარულნი იყვნენ: გიორგი ოდიშვილი („ჯიბგირი“), შუაკაურის დიდოსტატი, ლამაზი ტან-ფეხისა და დიდი ძალის პატრონი. თბილისს ახსოვს ნიკიტინის ცირკში მისი ბევრი გამარჯვება უცხოელ გოლიათებზე.

მეტად ხერხიანი და გონიერი მოჭიდავე ყოფილა ივანე წამალაშვილი („პატარა გლდანელი“). იგი 1918 წელს გამხდარა საქართველოს ფალავანი; მას დაუმარცხებია ცნობილი მოჭიდავეები: თედო წილკნელი, ილო თომაშვილი („სვანელი“), იოსებ ჯობისხეველი, ფიდო მუხრანელი, ხვედრია საგურამოელი, მიხა ქურხული და სხვები.

ივანე წამალაშვილი მეტად ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა თბილისელი ფალავნების წვრთნას, შეადგინა ქართული ჭიდაობის წესები და პირველი სახელმძღვანელო. იგი 1967 წელს გარდაიცვალა.

ბეჭდაუდებელი ფალავნის სახელით სარგებლობდა გლდანელი ვანო მიდელაურიც, რომელიც როგორც პროფესიონალი მოჭიდავე, წარმატებით გამოდიოდა სპარსეთში, ოსმალეთში, შუა აზიასა და სხვაგან. გადმოგვცემენ, რომ 1920 წელს ირანში მოგზაურობისას მრავალი მოჭიდავე, მათ შორის – შაჰის საყვარელი ფალავანიც წაუქცევია. შაჰს მისი მოსყიდვა განუზრახავს: თუ მეორე ფალავანთან წააგებდა, „თავის წონა“ ოქროს სთავაზობდა; ვანო მიდელაურს უარი უთქვამს ამ შემოთავაზებაზე, დაუმარცხებია მეტოქე, რის შემდეგაც მაყურებელთა გაგულისებულ ჯგუფს ღამით მოუკლავს იგი. ვანო მიდელაურს საერთოდ მოუხიბლია ჭეშმარიტი ირანელი მაყურებელი; სხვაგვარად ვერ ახსნი იმ ფაქტს, რომ როგორც გადმოგვცემენ, ირანში დღესაც არსებობს მისი სახელობის ქუჩა.

ჭარმაგი გლდანელები დღესაც სიამაყით იხსენებენ ივანე კოტორაშვილს (ვანო გლდანელს), მეტად ძლიერ და მკვირცხლ მოჭიდავეს. იგი 19 წლისა გამხდარა საქართველოს ფალავანი, შემდეგ მომავალ მოჭიდავეთა აღზრდას ედგა სათავეში; მისი აღზრდილი ფალავნებიდან დღესაც ბევრია ცოცხალი.

გლდანმა „ფალავანთა სოფლის“ სახელი დაისაკუთრა და არცთუ უსაფუძვლოდ. გვიმრავლოს საქართველოში მოჭიდავეთა ასეთი კერები.

ანზორ ელიბაშვილი,
გლდანის მკვიდრი, საქართველოს სპორტის აკადემიის I კურსის სტუდენტი.

**რედაქციისაგან:** ჩვენ სიამოვნებით ვბეჭდავთ ამ წერილს თუნდაც იმისათვის, რომ მასში მოტანილ საინტერესო ფაქტებთან ერთად, გლდანელებს, სოფლის თავკაცებს შევახსენოთ ერთი ფაქტი: ამ ორი წლის წინათ სოფელ გლდანში გადმოასვენეს სწორუპოვარი კულას ნეშტი. სამგლოვიარო მიტინგზე გამოსული ორატორები, პირველ რიგში კი თვით გლდანის მკვიდრნი, კულას საფლავის გვერდით მოწყობილ არენაზე (და არა მარტო იქ), ბევრი საინტერესო ღონისძიების ჩატარებას გვპირდებოდნენ, გათამაშდებოდა კულას სახელობის პრიზი და ა.შ. ამ საჯარო დაპირებიდან მესამე წელი იწყება და გლდანში არა თუ კულას სახელობის თასი, უბრალო ტურნირიც არ ჩატარებულა.

ესეც ნუ დაგავიწყდებათ, ძვირფასო გლდანელებო!

## სპორტული სარბიელიდან – პოლიტიკურ სარბიელზე!

*(მეორე გვერდიდან)*

ვართ“. გაიგონებთ ყველგან, სადაც სპორტსმენებთან თუ სპორტის მუშაკებთან საუბარში ერთვებიან ხელოვნების ან მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები. ეს უკვე დიდი ძალაა, ძალა, რომელსაც ქვეყნის მოსახლეობა ენდობა და მიიჩნევს თავიანთ საიმედო დასაყრდენად.

პოლიტიკას თავისი წესები აქვს. ეს წესები ისეთივეა მეტწილად, როგორც თვით პოლიტიკოსები. „სპორტული საქართველო“ ალალი და სუფთა ადამიანების პოლიტიკური გაერთიანებაა და მათთვის, მთავარია, პოლიტიკაც ასეთივე წმინდა იყოს. მაგრამ გაერთიანების თავკაცებმა ჩინებულად იციან, რომ ეს სურვილი თავისთავად არ აღსრულდება, ისე როგორც სპორტში დიდი შედეგი, თავისით, თავდაუზოგავი გარჯის გარეშე არ მოვა. ყველაფერს საფუძვლიანი ცოდნა უნდა და, ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ შეხვდებიან ერთმანეთს „სპორტული საქართველოს“ ლიდერები თუ რიგითი წევრები, ცენტრალური თუ ძირეული რგოლების წარმომადგენლები, რათა ერთი სტილით და ერთი მანერით წარსდგეს ეს ახალი პოლიტიკური ძალა ხალხის, ამომრჩეველთა წინაშე. ჯერჯერობით მხოლოდ პირველი ასეთი შეხვედრა-სემინარი გაიმართა რეგიონების, ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლების მონაწილეობით. „სპორტული საქართველოს“ თავმჯდომარემ რომან რურუამ, გენერალურმა მდივანმა, საპარლამენტო ფრაქცია „იმედის“ თავმჯდომარემ ზურაბ ახმეტელმა, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა, პოლიტიკური გაერთიანების თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ გ. სალარაძემ ისაუბრეს მთავარ ამოცანებსა და მიმართულებებზე და, თავის მხრივ, როგორც ეს სემინარს სჩვევია, გაწეული მუშაობის თაობაზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს მოწვეულებმა.

... მაგრამ, ვიდრე დეპარტამენტის საქტო დარბაზში შეიკრიბებოდნენ, სტუმრებმა და მასპინძლებმა პატივი მიაგეს ბუმბერაზი სპორტსმენებისა და ღირსეული ადამიანების ნათელ ხსოვნას – ყვავილებით შეამკეს ბ. პაიჭაძის ბიუსტი ეროვნულ სტადიონზე და გ. კარტოზიას საფლავი.

სააგენტო „[illegible]“




**იმკურნალეთ იქ, სადაც მკურნალობენ ცნობილი სპორტსმენები**

მომსახურება იდეალური, სპეციალისტები – საუკეთესო, შედეგი – აღდგენილი ჯანმრთელობა!

გამოკვლევა, კონსულტაცია და მკურნალობა ფასიანია.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის, 49 ა; ტელ: 23-59-59; 29-47-48.


## სხვათა შორის...

### სუნთქვითი ვარჯიში პატიმრების რეაბილიტაციისათვის

მსოფლიოს უკვე რამდენიმე ქვეყანაში მიიღეს პატიმრების რეაბილიტაციის ალტერნატიული პროგრამა.

იგი ერთი შეხედვით უცნაურია და გულისხმობს პატიმრებისათვის სუნთქვითი ვარჯიშების შესწავლას. ასეთი ვარჯიში თავის დროზე იოგების ვარჯიშების მიხედვითაა შექმნილი. საბოლოო სახემდე კი ინდოელმა სპეციალისტებმა დაამუშავეს. როგორც მისი შემქმნელები ვარაუდობენ, ნორმალური სუნთქვა ადამიანის ემოციებზე და მთლიანად ადამიანის საქმიანობაზე დადებითად მოქმედებს. როგორც წესი, აგრესიულად განწყობილი პატიმრები თავისუფლებაზე გამოსვლისთანავე უხეშად იქცევიან, ასეთი ვარჯიშები კი მათ განწყობაზე აშკარად დადებითად მოქმედებს.

ელისტის შუქ-ჩრდილები

# ნონა გაფრინდაშვილის თასი - რუსეთს

*ჩვენი მოჭადრაკეების ელისტიდან დაბრუნების შემდეგ გამართულმა პრესკონფერენციამ, დიდოსტატებთან ჟურნალისტების შეხვედრებმა, ამ უმნიშვნელოვანესი შეჯიბრების არაერთ საყურადღებო დეტალს გაგვაცნო*

ჩვენი ქალები აქამდე საჭადრაკო ოლიმპიადებზე სამგზის გამარჯვებულები იყვნენ, ამიტომ მათი მესამე ადგილზე გამოსვლა ვერაფერი სასიამოვნო მოვლენაა. რა თქმა უნდა, საჭადრაკო სამყაროში უცვლელი არაფერია, და, ადრე თუ გვიან, უკანდახევა მოსალოდნელიც იყო. მაინც ვთქვათ, რომ ჩვენს გუნდს მეორე ადგილი უფრო შეეფერებოდა არაჩვეულებრივ ძლიერად მოთამაშე ჩინელების შემდეგ. გუნდის სამივე ძირითადმა მოჭადრაკემ კარგად ითამაშა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მაია ჩიბურდანიძის ბრწყინვალე შედეგი პირველ დაფაზე. მან 13 ტურში მხოლოდ ერთხელ დაისვენა, 12 შეხვედრიდან შვიდი მოიგო და ხუთი ყაიმით დაასრულა. ერთი სიტყვით, მაიას შედეგი ისეთივე შესანიშნავი იყო, როგორც მანილაში, მოსკოვსა თუ ერევანში. იგი კვლავ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ რჩება და არც ის არის გამორიცხული, რომ კვლავ იბრძოლოს მსოფლიო ჩემპიონის წოდების დასაბრუნებლად. მეორე დაფაზე ნანა იოსელიანმა 12 თამაშიდან 8 ქულა მოაგროვა. კარგი შედეგია, მაგრამ ნანა მაინც გადაღლილად გამოიყურებოდა. ქეთევან არახამიამ (რომელიც, როგორც გამოირკვა, ფეხმძიმე იყო) მძიმე მდგომარეობის მიუხედავად 11 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა, და, ვინ შეიძლება დაემდუროს! როგორც გუნდის კაპიტანმა ნონა გაფრინდაშვილმა განაცხადა, ნინო ხურციძემ, გუნდის სათადარიგო მონაწილემ, 4 შეხვედრიდან სულ 1,5 ქულა მოაგროვა (ერთი მოგება, ორი წაგება, ერთი ყაიმი) — აი, ამან კი ნაკრების შედეგებზე ძალიან ცუდად იმოქმედა.

ვაჟთა ნაკრების წინსვლა აშკარად სახეზეა. ზურაბ აზმაიფარაშვილი უძლიერესი იყო პირველ დაფაზე (ჩვენ სხვადასხვა პროცენტულ გამოთვლებს არ ვგულისხმობთ, რომლებიც უპირატესობას უმნიშვნელო ძალის გუნდების ლიდერებს ანიჭებს, ისინი ხომ ერთმანეთში თამაშობენ). დიახ, ზურაბი ეთამაშებოდა ყველაზე ძლიერ დიდოსტატებს და ამარცხებდა მათ! განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვირტუოზულად ჩატარებული ენდშპილი... ენდშპილის ვირტუოზ ულფ ანდერსონთან (შვეცია), რომელიც ამ სფეროში წლების განმავლობაში პირდაპირ შეუდარებლად ითვლება. აზმაიფარაშვილის ეს ახალი მიღწევა გვაფიქრებინებს, რომ მას ძალზე კარგი პერსპექტივა უნდა ჰქონდეს მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე ნოკაუტ-სისტემით, სადაც გასულ წელსაც ჩინებულ შედეგებს მიაღწია. გია გიორგაძე, რომელიც ოლიმპიადებზე მეორე დაფაზე შესანიშნავ შედეგებს აღწევდა, ამჯერად უფერულად გამოვიდა. რა თქმა უნდა, ყოველთვის ვერ გაიმარჯვებ, მაგრამ ამჯერად გია, რომელიც წელს ბევრს თამაშობდა და გადაიღალა კიდეც. სამაგიეროდ, ძალზე კარგად ითამაშა მესამე დაფაზე ზურაბ სტურუამ, რომელმაც ვერცხლის მედალი დაიმსახურა და არაერთი ჩინებული პარტიაც მოიგო. ამასთან, როგორც ზურაბ აზმაიფარაშვილი თვლის, გუნდის წინაშე იდგა მეოთხე დაფის პრობლემა. აქ მთლიანად ვერ გაამართლეს იმედები ვერც გია ბაღათუროვმა, ვერც ხვიჩა სუპატაშვილმა და ვერც ლაშა ჯანჯღავამ. ეტყობა, სჯობდა ამ დაფაზე გიორგი ყაჭეიშვილს ეთამაშა, მაგრამ მან საქართველოს პირველობაზე სათანადო შედეგს ვერ მიაღწია. ამჟამად ყაჭეიშვილი აშშ-ში იმყოფება და იქაურ ტურნირებში დიდ წარმატებას აღწევს. შეიძლება ნაკრების მოთამაშეები სხვა კრიტერიუმით უნდა შეირჩნენ, ვიდრე ეს საქართველოს ჩემპიონატის ფინალში მიღწეული შედეგებია.

„ნონა გაფრინდაშვილის თასი" მიენიჭა რუსეთის მოჭადრაკეებს, რომლებსაც ვაჟთა შორის პირველი ადგილი დარჩათ, ქალთა შორის კი მეორე. ეს შემდეგ მათ სავსებით დაიმსახურეს. ვთქვათ ისიც, რომ რუსი ვაჟები სამი „კ" — ს — კასპაროვის, კარპოვისა და კრამნიკის გარეშე თამაშობდნენ, ქალებს კი აკლდათ ამ ქვეყნის უდავოდ უძლიერესი დიდოსტატი ალისა გალიამოვა.

## კირსანს მადა გაეხსნა — რუსეთის პრეზიდენტობა სურს

*ელისტაში გამართულ ფიდეს კონგრესზე როგორც იცით, ამ ორგანიზაციის პრეზიდენტად კვლავ, ოთხი წლის ვადით, 2002 წლამდე აირჩიეს ყალმუხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი კირსან ილიუმჟინოვი. საინტერესოა, რომ ილიუმჟინოვს ახალი ამბიციებიც გაუჩნდა. პირველია რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა, მეორე კი, არც მეტი და არც ნაკლები, თვით რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტობა.*

*ფიდემ ორ ქართველ მოჭადრაკე ქალს: დიანა დარჩიას (ბათუმი) და თბილისელ თამარ ხმიადაშვილს საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიანიჭა, ხოლო გიორგი ფაბილიანცს, უამრავი შეჯიბრების მსაჯს — საერთაშორისო არბიტრის წოდება. 6 ახალგაზრდა ქართველი მოჭადრაკე საერთაშორისო ოსტატი გახდა.*

*რაც შეეხება მორიგ საერთაშორისო ოლიმპიადას, იგი ფიდეს გადაწყვეტილებით, 2000 წელს სტამბულში (თურქეთი) ჩატარდება.*

## ბუნების დაცვა სჯობს ოლიმპიადას, აცხადებენ პოლონელები

პოლონეთის ინტელიგენციის თორმეტმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა, მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატებმა ლიტერატურაში ჩესლავ მილოშმა და ვისლავა შიმბორსკამ, აგრეთვე მწერალმა სტანისლავ ლებმა, კომპოზიტორმა ვოიცეხ კილარმა და სხვებმა მოწოდებით მიმართეს ქვეყნის მთავრობას ხელი აიღონ 2006 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩატარების იდეაზე მთიან კურორტ ზაკოპანეში. „არის ადგილები, რომლებიც წმინდა პოლონეთის კულტურისათვის და ამ ადგილებით ვაჭრობა არ შეიძლება". წერილის ავტორების აზრით, ოლიმპიადის ჩატარების შემდეგ ზაკოპანე „ჩვენი ცივილიზაციის ნაგვის ყუთად" გადაიქცეოდა. მათ ეშინიათ, რომ დიდი ზიანი შეიძლება მიეყენოს ეროვნულ პარკს ტატრებში, რომელიც იუნესკოს კანონით არის დაცული და ზაკოპანეც ამ ზონაში შედის. საკმარისია აღინიშნოს, რომ მხოლოდ სათხილამურო შეჯიბრებების ჩასატარებელი ზონის გაფართოებას 10 ათასი ხე შეეწირებოდა, ეს კი კანონის უხეშ დარღვევას ნიშნავს.

საინტერესოა, რომ ზაკოპანეში 2006 წელს ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების იდეას მხარი დაუჭირეს პოლონეთის პრეზიდენტმა ალექსანდრ კვაშნევსკიმ და პრემიერ-მინისტრმა იერჟი ბუზეკმა. კვასნევსკი 1988-89 წლებში ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტს მეთაურობდა და უნდოდა, რომ პოსტკომუნისტური სახელმწიფოებიდან პოლონეთი პირველი ყოფილიყო, ვინც კი ოლიმპიადის მასპინძელი გახდებოდა.

## „ტოტო-ლოტო" – მოთამაშეთა სიხარული!

*18 ოქტომბერს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის ოცდამეხუთე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია: **3. 5. 6. 13. 18. 27**

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.
5 ციფრი – საპრიზო ფონდი 517.90 გადავიდა მომდევნო ტირაჟში.
4 ციფრი – 12.50 ლარი.
3 ციფრი – 1.30 ლარი.

**„ჯეკ-პოტი" 135 000 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

**„სუპერ-7"**-ის მომგებიანი ციფრებია: **0. 4. 1. 8. 5. 1. 7.**

**შემდეგი** ტირაჟი შედგება 25 ოქტომბერს, ჯეკ-პოტი **135 000** ლარი.

*ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!*

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

**ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო ღრმა სამძიმარს და თანაგრძნობას უცხადებს ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილეს გივი კობოსნიძეს ძმის გარდაცვალების გამო.**
**დაკრძალვა 20 ოქტომბერს 14 სთ-ზე (ვაჟა-ფშაველას VI კვ. IV კორპ.)**

**გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს გივი კობოსნიძეს ძმის გარდაცვალების გამო.**

## სპორტი ცისფერ ეკრანზე

20-25 ოქტომბერი

**20 ოქტომბერი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** საფეხბურთო მიმოხილვა (13.10) „ასპარეზი" (22.40). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.45, 21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** ფეხბურთი. უეფას თასი: „დინამო" (მოსკოვი) – „რეალ-სოსიედადი" (ესპანეთი) (21.50). ჰოკეი. ევროლიგა (0.35). ***HTB.*** საფეხბურთო კლუბი (0.55). ***TB центр.*** ჩოგბურთი. კრემლის თასი (10.00; 19.55). ***REN TV.*** „სპორტკურიერი" (20.45; 23.30). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (21.40). ***HTB плюс спорт.*** საჭადრაკო გაკვეთილი (7.05; 15.10). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (8.15; 23.05). მოტოსპორტი (10.10; 16.40). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (11.00). ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები (12.35; 21.15). ველოსპორტი (14.30). „დიდი რინგი" (17.50). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (20.30; 0.40). ***ESPN.*** გრძელი გასროლა (2.45). სპორტული ცენტრი (4.00; 8.00-14.00; 19.30; 20.30; 1.30). კლასიკური გოლფი (6.30). ბოდიშეიპინგი (18.00). ***EUROSPORT.*** ველოსპორტი (10.30. მოტოსპორტი (12.30); 17.00; 3.00). ფეხბურთი. ევროგოლები (18.00; 19.00). ფეხბურთი. უეფას თასი (0.30). კრივი (2.30).

**21 ოქტომბერი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.45; 21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.55). ***რუსეთის ტელევიზია. HTB.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „ინტერი" – „სპარტაკი" (21.45). ჩემპიონთა ლიგის დღიური (1.00). ***TB центр.*** ჩოგბურთი: კრემლის თასი (12.05; 19.55). ***RENTV.*** „სპორტკურიერი" (20.45; 23.20). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (14.30; 21.40) ***HTB плюс спорт.*** ანდრე აგასის საჩოგბურთო გაკვეთილი (7.05; 14.45). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (8.05). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მიმოხილვა. (9.10). საჭადრაკო მიმოხილვა (11.00). ფეხბურთი (11.30; 19.30). ზაფხულის ექსტრემალური თამაშები-98 (15.10). ავტოსპორტი (17.30). საცხენოსნო სპორტი (18.20). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (20.00). მინი-ფეხბურთი (20.50). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „ინტერი" – სპარტაკი" (22.05); „არსენალი" – „დინამო" (0.40). ***ESPN.*** სპორტული ცენტრი (4.00; 8.00-14.00; 20.30; 1.30). ბილიარდი (6.00). საცხენოსნო სპორტი (15.00). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (16.30; 18.40), ***EUROSPORT.*** ჟურნალი „მოტოციკლი" (10.30). ავტოსპორტი (11.30). მოტოსპორტი (12.30; 14.00). აფროსნობა (15.00). გოლფი (15.30). ჩოგბურთი (16.30; 21.00). სამხედრო მრავალჭიდი (22.30). კრივი (1.30).

**22 ოქტომბერი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „დრიბლინგი" (15.20). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.40; 21.15). მხ. ფილმი „პირველი მერცხალი" (17.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.05). ***რუსეთის ტელევიზია. ORT-1.*** ფეხბურთი. თასების თასი: „ლოკომოტივი" – „ბრაგა" (21.50). ***HTB.*** ჩემპიონთა ლიგის მატჩები (1.05). ***TB центр.*** ჩოგბურთი. კრემლის თასი (12.05; 19.55). ***REN TV.*** „სპორტკურიერი" (20.45; 0.05). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (14.30; 21.40). ***HTB плюс спорт.*** ბოდიბილდინგის გაკვეთილი (7.05; 15.10). ჰოკეი (7.45). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (8.15). მინი-ფეხბურთი (9.15). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მატჩები: „ინტერი" – „სპარტაკი" (9.45); „არსენალი" – „დინამო" (13.00); „რეალი" – „შტურმი" (17.55); „ბაიერნი" – „ბარსელონა" (21.40). ***ESPN.*** იაპონური სუმო (2.30; 0.00). სპორტული ცენტრი (4.00; 8.00-14.00; 20.30; 1.00). საცხენოსნო სპორტი (5.30). არგენტინის ჩემპიონატი წყალბურთში (6.00). კარატე (7.00). კლასიკური გოლფი (16.00). მსოფლიო ფეხბურთი (21.00). ***EUROSPORT.*** გოლფი (10.30). ავტოსპორტი (11.30). ფეხბურთი (14.00; 20.00; 22.30; 0.30). მოტოსპორტი (12.30; 15.00 2.30). ველოსპორტი (16.30). ჩოგბურთი (17.00; 21.00). წყალში ხტომა (18.30).

**23 ოქტომბერი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი" (21.20). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.45, 21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***რუსეთის ტელევიზია. TV центр.*** ჩოგბურთი. კრემლის თასი (12.05; 19.55). ***REN TV.*** „სპორტკურიერი" (20.45). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (14.30; 21.40). ***HTB плюс спорт.*** საჭადრაკო გაკვეთილი (7.05; 14.45). ლათინოამერიკული ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა (7.45; 17.35). კალათბურთი. ევროლიგა (9.10). მინი-ფეხბურთი (11.30; 12.35). კრივი (14.00). ფეხბურთი (15.10; 16.40; 21.55). ***ESPN.*** სპორტული ცენტრი (4.00; 9.00-12.00; 20.30; 1.00). კლასიკური გოლფი (14.00). ნჰლ-ს მატჩები (22.00). ***EUROSPORT.*** ჟურნალი „აფრა" (10.30). ველოსპორტი (11.00). ავტოსპორტი (11.30). მოტოსპორტი (12.30; 20.00; 21.00; 22.00; 1.00). ფეხბურთი (15.00). ჩოგბურთი (17.00; 23.30). ექსტრემალური სპორტი (3.00).

**24 ოქტომბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** ავტოსპორტი (20.00). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.45; 21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***ევრიკა.*** სპორტული პროგრამა „სტუმარი" (19.30). ***რუსეთის ტელევიზია. TB центр.*** ფეხბურთი დიალოგებში (14.50). ***REN TV.*** სპორტული მიმოხილვა (19.15). ***ACT.*** სპორტული პროგრამა (14.30; 20.35). ***HTB плюс спорт.*** ანდრე აგასის საჩოგბურთო გაკვეთილი (9.40; 15.45). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (9.55). ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატი (12.55). ნჰლ-ის ჩემპიონატი (16.00). ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატის მიმოხილვა (17.00). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მიმოხილვა (22.55). ***ESPN.*** ავტოსპორტი (3.00). სპორტული ცენტრი (4.00; 12.00; 1.00). ფეხბურთი (14.00). კლასიკური გოლფი (17.30). ***EUROSPORT.*** ექსტრემალური სპორტი (10.30). სამთო თხილამურები (12.00; 14.00; 15.00). მოტოსპორტი (13.00; 1.00). ჩოგბურთი (15.45). მოტორბოლა (20.00; 21.00; 22.15). ავტოსპორტი (2.00).

**25 ოქტომბერი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. კოკა-კოლას ტურნირის ფინალური მატჩი (15.50). ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.45). ***კავკასია.*** „ფეხბურთის ლეგენდები" (15.10). „ვარსკვლავები" (18.00). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.15). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** საფეხბურთო მიმოხილვა (0.00). ***PTP.*** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი: „სპარტაკი" – „შინიკი" (18.00). ***TB центр.*** ჩოგბურთი. კრემლის თასი (12.10). ***REN TV.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერ-ლიგა (15.30). „სპორტკურიერი" (20.45). ***ACT.*** „სპორტი" (14.30; 20.35). ***HTB плюс спорт.*** ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (9.55). ჰოკეი (12.45). საჭადრაკო მიმოხილვა (15.15). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (16.25). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (18.55). რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი: ცსკა – „როტორი" (21.00). კრივი (23.15). ***ESPN.*** სპორტული ცენტრი (4.00; 12.00; 21.00; 1.30). ფეხბურთი (5.30; 22.15). ***EUROSPORT.*** სამთოთხილამურები (10.30; 12.00; 14.00; 15.00). მოტოსპორტი (13.00; 16.30; 17.00). ჩოგბურთი (21.00). ავტოსპორტი (0.00).



როდის, სად, რომელ სტადიონზე მოხდა ფოტოზე აღბეჭდილი ინციდენტი?

**ფოტოგამოცანა**

## საჭადრაკო ამოცანა

ზ. დასნი
(რუსეთი)



**შამათი 3 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის „ტყუპების" ამოხსნა:

1. მფf4 მფh7 2. ლf7 მფh6 3. g8მX;
1. ლe7 მფg8 2. ლg5 მფf7 3. g8ლX;
1. ... ...2. ... მფh7 3. g8ლX.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 5. იაშვილი, 7. „გრაცერი", 8. ასტაფიევი, 11. სლავი, 12. კორტი, 13. საუნა, 16. „ალანია", 17. „გრემიო", 21. ზოიძე, 22. „პორტო", 23. კროლი, 26. მინაშვილი, 27. ადემირი, 28. ანდერძი. შვეულად: 1. მარსელი, 2. ოლისე, 3. კრივი, 4. გრინინი, 6. საფარი, 9. გვარამაძე, 10. ბარომეტრი, 14. ბლიცი, 15. შორტი, 18. რონალდო, 19. „ბრეშია", 20. ბლაგიძე, 24. ვიერი, 25. ბლანი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე